# ლიტერატურული საქართველო

20 ნოემბერი, 1938 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ათდღიური ორგანო | ფასი 30 კაპ. № 28 (83)


სანამ მთაწ...
აწ მოისვენ...
თავზე გადგ...
როგორ ჩაჰკ...
შენი შფოთ...
როგორ ჩაჰკ...
შენი მერანი...
არაგვის რბ...
და მოგუგ...
მე მეჩვენება
მთაწმინდას
ისმის ტორიშ...
და მტკვარი...
ფრთიან რაშ...
და მომართულა
მარადისობისას
და ბავშვობ...

# „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ

## (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

### I

„საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლა უდიდესი მოვლენაა ბოლშევიკური პარტიის იდეურ ცხოვრებაში. „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლით პარტიამ მიიღო ბოლშევიზმის ახალი მძლავრი იდეური იარაღი, მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში ძირითად ცოდნათა ენციკლოპედია. პარტიის ისტორიის კურსი ბოლშევიზმის მეცნიერული ისტორიაა. მასში გადმოცემულ და განზოგადებულია კომუნისტური პარტიის გიგანტური გამოცდილება რომლის თანაბარი არც ჰქონია და არც აქვს არცერთ პარტიას მსოფლიოში.

„საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსი“ წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საშუალებას ბოლშევიზმის დაუფლების ამოცანის გადაჭრის, მარქსისტულ-ლენინური თეორიით, ე. ი. საზოგადოებრივი განვითარების და პოლიტიკური ბრძოლის კანონების ცოდნით პარტიის წევრთა შეიარაღების საქმეში, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების პოლიტიკური სიფხიზლის ამაღლების საშუალებას, მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის საქმის ჯეროვან თეორიულ სიმაღლეზე აყვანის საშუალებას.

ჰქმნიდა რა „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსს“, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი გამოდიოდა შემდეგი ამოცანებიდან:

1) საჭირო იყო მიგვეცა პარტიისათვის პარტიის ისტორიის ერთიანი სახელმძღვანელო, ისეთი სახელმძღვანელო, რომელიც წარმოადგენს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიისა და მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი საკითხების ოფიციალურს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ შემოწმებულ განმარტებას, რომელიც შეუძლებელს ჰხდის რაიმე თვითნებურ განმარტებას. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწონებული „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კურსის“ გამოცემით ბოლო ედება თვითნებობასა და არევდარევას პარტიის ისტორიის გადმოცემაში, სხვადასხვა თვალსაზრისთა და პარტიის თეორიისა და პარტიის ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხების თვითნებურ განმარტებათა სიმრავლეს, რასაც ადგილი ჰქონდა პარტიის ისტორიის მთელ რიგ წინათგამოცემულ სახელმძღვანელოებში.

2) ჰქმნიდა რა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამოცანად ისახავდა მოესპო ის მავნე გათიშვა პროპაგანდის დარგში მარქსიზმსა და ლენინიზმს შორის, რომელიც უკანასკნელ წლებში გაჩნდა და რომელსაც ის მოჰყვა, რომ ლენინიზმს ასწავლიდნენ როგორც დამოუკიდებელ მოძღვრებას მარქსიზმისაგან მოწყვეტით, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმისაგან მოწყვეტით, პარტიის ისტორიისაგან მოწყვეტით, ივიწყებდნენ რა, რომ ლენინიზმი გაიზარდა და განვითარდა მარქსიზმის საფუძველზე, რომ მარქსიზმი ლენინიზმის საფუძველია, რომ ლენინიზმის ამ საფუძვლის უცოდინრად არ შეიძლება ლენინიზმის გაგება.

ჰქმნიდა რა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კურსს“. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თავის ამოცანად ისახავდა მოეცა საკ. კ. პ. (ბ) თეორიისა და ისტორიის ისეთი სახელმძღვანელო, რომელშიაც ერთ მთელად იქნებოდა შეერთებული ერთიანი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ხელოვნურად დაქუცმაცებული შემადგენელი ნაწილები — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი და ლენინიზმი, ხოლო ისტორიული მატერიალიზმი დაკავშირებული იქნებოდა პარტიის პოლიტიკასთან, — სახელმძღვანელო, რომელშიაც ნაჩვენები იქნებოდა მარქსისა და ლენინის მოძღვრების განუწყვეტელი ერთიანობა, მთლიანობა და მემკვიდრეობითობა, მარქსიზმ-ლენინიზმის ერთიანობა, და გადმოცემული იქნებოდა ის ახალი. რაც შეიტანეს ლენინმა და მისმა მოწაფეებმა მარქსისტულ თეორიაში იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქაში პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალი გამოცდილების განზოგადების საფუძველზე.

3) ზოგიერთი ძველი სახელმძღვანელოსაგან განსხვავებით, რომელნიც საკ. კ. პ. (ბ) ისტორიას გადმოგვცემდნენ უწინარეს ყოვლისა ისტორიულ პიროვნებათა გარშემო და რომლებსაც მიზნად ჰქონდათ კადრების მომზადება პიროვნებათა და მათი ბიოგრაფიების საშუალებით, — „მოკლე კურსი“ პარტიის ისტორიას გადმოგვცემს მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი იდეების გაშლის საფუძველზე და მიზნად ისახავს პარტიული კადრების აღზრდას, პირველ რიგში, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები.

ჰქმნიდა რა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი გამოდიოდა იმ ამოცანიდან, რომ გადმოეცა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება ისტორიულ ფაქტების საფუძველზე.

... და უფრო გასაგებად შეიძლება მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი იდეების დემონსტრირება, რადგან თვით ისტორია საკ. კ. პ. (ბ) არის მარქსიზმ-ლენინიზმი მოქმედებაში, რადგან მარქსისტულ-ლენინური თეორიის სისწორე და ცხოველმყოფელობა შემოწმებულია პრაქტიკით, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის გამოცდილებით, და თვით მარქსისტულ-ლენინური თეორია ვითარდებოდა და მდიდრდებოდა პრაქტიკასთან უმჭიდროესად დაკავშირებით, პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკული გამოცდილების განზოგადების საფუძველზე.

4) ჰქმნიდა რა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამოცანად ისახავდა გაეთავისუფლებინა მარქსისტული ლიტერატურა გაუბრალოებისა და ვულგარიზაციისაგან მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიისა და პარტიის ისტორიის მთელი რიგი საკითხების განმარტებაში.

ამგვარმა ვულგარიზაციამ და გაუბრალოებამ გამოხატულება ჰპოვეს, მაგალითად, ბოლო დრომდე გავრცელებულ აშკარად ანტიმარქსისტულ და პარტიის მიერ დიდიხანია დაგმობილ შეხედულებებში პიროვნების როლის შესახებ ისტორიაში, როცა ისტორიაში პიროვნების როლის საკითხს ზოგიერთი ცრუთეორეტიკოსები და პროპაგანდისტები გადმოგვცემდნენ ნახევრად ესერული პოზიციებიდან.

მარქსიზმ - ლენინიზმის ამგვარ ვულგარიზატორობასა და გაუბრალოებას ეკუთვნის არასწორი განმარტება საკითხისა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ.

ფართოდ იყო გავრცელებული დამახინჯებანი მარქსისტულ-ლენინური შეხედულებებისა თანამედროვე ეპოქაში ომების ხასიათის საკითხზე, ვერგაგება განსხვავებისა სამართლიანსა და უსამართლო ომებს შორის, არასწორი შეხედულება ბოლშევიკებზე, როგორც თავისებურ „პაციფისტებზე“.

ისტორიულ მეცნიერებაში ანტიმარქსისტული დამახინჯებანი და ვულგარიზატორობა ბოლო დრომდე დაკავშირებული იყო პოკროვსკის ეგრეთწოდებულ „სკოლასთან“, რომელიც დამახინჯებულად განმარტავდა ისტორიულ ფაქტებს, აშუქებდა მათ, წინააღმდეგ ისტორიული მატერიალიზმისა, არა იმ პირობების თვალსაზრისით, რომელთა ვითარებაშიც მიმდინარეობდა ისტორიული მოვლენები, არამედ დღევანდელი დღის თვალსაზრისით და ამით ამახინჯებდა ნამდვილ ისტორიას.

ნამდვილი ისტორიის ანტიისტორიული ფალსიფიკაცია, ისტორიის შეფარდების ანტიისტორიული ცდები, მისი მართლად გადმოცემის ნაცვლად, იწვევდნენ, მაგალითად იმას, რომ ჩვენს პროპაგანდაში პარტიის ისტორიას ზოგჯერ ჰხატავდნენ როგორც განუწყვეტელ გამარჯვებათა გზას, რაიმე დროებითი დამარცხებათა და უკანდახევათა გარეშე, რაც აშკარად ეწინააღმდეგება ისტორიულ სიმართლეს და ამით ხელს უშლის კადრების სწორ აღზრდას.

ანტიმარქსისტულმა ვულგარიზატორულმა დომხალმა თავი იჩინა აგრეთვე საბჭოთა სახელმწიფოს შესახებ არასწორ შეხედულებათა გავრცელებაში, იმ როლისა და მნიშვნელობის დამცირებაში, რომელიც აქვს სოციალისტურ სახელმწიფოს, როგორც სოციალიზმის გამარჯვებისა და კაპიტალისტური გარემოცვისაგან მშრომელების სოციალისტურ მონაპოვართა დაცვის მთავარ იარაღს მუშათა და გლეხთა ხელში.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, აღადგენს რა მარქსიზმ-ლენინიზმის დებულებებს, ბოლოს უღებს მარქსიზმ-ლენინიზმის ამ და სხვა ამგვარ ვულგარიზაციასა და შერყვნას.

5). ჰქმნიდა რა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თავის ამოცანად ისახავდა თვალსაჩინოდ ცხადეყო ძალა და მნიშვნელობა მარქსისტულ-ლენინური თეორიისა, რომელიც მეცნიერულად ხსნის საზოგადოების განვითარების კანონებს, — თეორიის, რომელიც გვასწავლის ამ კანონების გამოყენებას პროლეტარიატის რევოლუციური მოქმედებისადმი ხელმძღვანელობისათვის, — თეორიის, რომელიც, როგორც ყოველი მეცნიერება განუწყვეტლივ ვითარდება და უმჯობესდება და რომელსაც არ ეშინია შესცვალოს ცალკეული მოძველებული დებულებანი და დასკვნები ახალი ისტორიული პირობების შესაბამისი ახალი დასკვნებითა და დებულებებით.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი იქიდან გამოდიოდა, რომ ჩვენი კადრები, თუ მათ არ ეცოდინებათ მარქსიზმ-ლენინიზმის თეო[...], თუ ისინი არ დაეუფლებიან ბოლშევიზმს და არ დასძლევენ თავის თეორიულ ჩამორჩენილობას, ორივე ფეხით იკოჭლებენ, რადგან სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგის სწორი ხელმძღვანელობა მოითხოვს, რათა პრაქტიკოსები დაეუფლნენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძვლებს, მოითხოვს შესწევდეთ უნარი იხელმძღვანელონ თეორიით პრაქტიკული მოღვაწეობის საკითხთა გადაჭრის დროს.

შეცდომა იქნება ვიფიქროთ, თითქოს თეორიის დაუფლების ამოცანის დაძლევა შეუძლია მუშაკთა მხოლოდ მცირე ჯგუფს. მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლება შესაძლო საქმეა. სწორედ ახლა, სსრ კავშირში საბჭოთა ხელისუფლებისა და სოციალიზმის გამარჯვების დროს, შექმნილია განუსაზღვრელი შესაძლებლობანი იმისათვის, რათა ჩვენი ხელმძღვანელი კადრები წარმატებით ეუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, სწავლობდნენ პარტიის ისტორიას და მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის ნაშრომებს. იმისათვის, რათა დავეუფლოთ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას, უნდა გამოვიჩინოთ მხოლოდ სურვილი, დაჟინება და ხასიათის სიმტკიცე ამ მიზნის მიღწევაში. თუ კი შესაძლებელია წარმატებით დავეუფლოთ ისეთ მეცნიერებას, როგორიც არის, მაგალითად, ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია, მით უმეტეს არა გვაქვს საფუძველი დავეჭვდეთ, რომ შესაძლებელია სავსებით დავეუფლოთ მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერებას.

6). ჰქმნიდა რა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კურსს“, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამოცანად ისახავდა დახმარება აღმოეჩინა იმ კადრებისათვის, რომლებიც თეორიულ და პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევიან, გარდაქმნილიყვნენ, გაეუმჯობესებინათ მუშაობის ხარისხი, დაეწყოთ თავისი თეორიული ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია. აღმოეფხვრათ ნაკლოვანებანი და ხარვეზები თავიანთ იდეოლოგიურ მომზადებაში და პროპაგანდისტული მუშაობა სათანადო სიმაღლეზე აეყვანათ.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული ყველა ეს ამოცანა გადაჭრილ იქნა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსით“.

### II

როგორია პროპაგანდისტული მუშაობის ძირითადი ნაკლოვანებანი? რა მიმართულებით არის საჭირო პარტიის პროპაგანდისტული და თეორიული მუშაობის გარდაქმნა?

1. პარტიული პროპაგანდის დაყენების ძირითად ნაკლს ის წარმოადგენს, რომ არ არსებობს პარტიული პროპაგანდისადმი ხელმძღვანელობის საჭირო ცენტრალიზაცია და აქედან გამომდინარეობს კუსტარულობა და მოუწყობლობა პროპაგანდის საქმეში.

კუსტარულობა და მოუწყობლობა პარტიული პროპაგანდის დარგში უწინარეს ყოვლისა იმით გამოიხატა, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა პროპაგანდის ძირითად ფორმად აირჩიეს სიტყვიერი პროპაგანდა და წრეების საშუალებით და დაივიწყეს, რომ პროპაგანდის წრეობრივი მეთოდი უმთავრესად პარტიის არალეგალურ პერიოდს სჩვევოდა, იმ პირობათა გამო, რომელშიც მაშინ პარტიას მუშაობა უხდებოდა, და რომ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში და მაშინ, როდესაც ბოლშევიკურ პარტიას, პროპაგანდის ისეთი მძლავრი იარაღი აქვს ხელში, როგორიც არის ბეჭდვითი სიტყვა, შექმნილია სრულიად ახალი პირობები და შესაძლებლობანი პროპაგანდის განუსაზღვრელი გაქანებისა და მისდამი ცენტრალიზებული ხელმძღვანელობისათვის.

ნაცვლად იმისა, რომ გამოიყენონ ეს შესაძლებლობანი, პარტიული ორგანიზაციები პროპაგანდის კვლავ ძველ ფორმებს ებღაუჭებიან და არ ითვალისწინებენ იმას, რომ წრეები დღევანდელ პირობებში უკვე აღარ შეიძლება წარმოადგენდნენ მთავარ მეთოდს ჩვენი კადრებისათვის ბოლშევიზმის სწავლების საქმეში, რომ ძირითად მეთოდს კადრებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლების საქმეში უნდა წარმოადგენდეს ბოლშევიკების უფროსი თაობის მიერ გამოცდილი ისტორიისა და ბოლშევიკური პარტიის თეორიის დამოუკიდებელი შესწავლის მეთოდი, ხოლო პარტიამ დახმარება უნდა აღმოუჩინოს კადრებს ამ მხრივ პრესისა და ცენტრალიზებული მაღალკვალიფიციური კონსულტაციის საშუალებით შესწავლის პროცესში მათ წინაშე წამოჭრილ საკითხებში, აგრეთვე ლექციებით, მოხსენებებით და სხვ. სწავლის დროს წამოიჭრება.

აირჩიეს რა პროპაგანდის ძირითად მეთოდად სიტყვიერი პროპაგანდა წრეების საშუალებით, პარტიული ორგანიზაციები გაიტაცა შემცდარმა წამოწყებამ გაეერთებინათ წრეებში ყველა კომუნისტი, აეღოთ გეზი პარტიული წრეების ქსელის რაოდენობრივ გაფართოებაზე დაუკლებლივ ყველა კომუნისტის თანაც სავალდებულო წესით, პარტიულ წრეებში ხელაღებით „ჩაბმაზე“.

წრეების რაოდენობისადმი გამოდევნებით პარტიულმა ორგანიზაციებმა ხელიდან გაუშვეს უმთავრესი რგოლი—პროპაგანდის ხარისხი.

წრეების სიუხვემ, წაართვა რა პარტიულ ორგანიზაციებს პროპაგანდისტული მუშაობისათვის არსებითი კონტროლის გაწევის საშუალება, ის გამოიწვია, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა ხელიდან გაუშვეს პროპაგანდის ხელმძღვანელობა და თავიანთი მოქმედება იმით შემოფარგლეს, რომ უმთავრესად ჰკრეფნენ კანცელარულ-სტატისტიკურ ცნობებს წრეებში კომუნისტების სწავლებაში „ჩაბმისა“ მათი რიცხვობრიობისა და დასწრების შესახებ. ამის შედეგად წრეები გადაიქცნენ ავტონომიურ და უკონტროლო ორგანიზაციებად, რომლებიც მუშაობას თავისი რისკითა და პასუხისმგებლობით აწარმოებენ.

წრეების სიუხვემ შემდეგ ის გამოიწვია, რომ პროპაგანდისტთა კადრები სავსე აღმოჩნდნენ თეორიულად მცირემომზადებულებითა და ხშირად პოლიტიკურად უცოდინარი და შეუმოწმებელი ადამიანებით, რომელთაც არა თუ არ შეუძლიათ დახმარება აღმოუჩინონ პარტიის წევრებსა და უპარტიოებს დაეუფლონ ბოლშევიზმს, არამედ უნარი აქვთ მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური თეორიის გადმოცემა შესცვალონ საზიანო გაუბრალოებით და დააბნიონ თავიანთი მსმენელები.

პარტიული ორგანიზაციები პროპაგანდისტების რაოდენობას გამოედევნენ და ხელიდან გაუშვეს პროპაგანდისტთა კადრების მომზადებისა და გადამზადების თეორიული ხელმძღვანელობა და წრეებში პროპაგანდისტების მუშაობის კონტროლი. ნაცვლად იმისა, რომ მოეხდინათ პროპაგანდისტების მიმართ ხელმძღვანელობის ცენტრალიზება და ამით უზრუნველეყოთ პროპაგანდისტებთან მუშაობის ხარისხის ამაღლება, პარტორგანიზაციებმა ამ საქმეშიც შეცდომით აიღეს კურსი რაოდენობაზე, ლაქუცმაცეს პროპაგანდისტთა კადრებისათვის დახმარების გაწევის საქმე იმით, რომ დიდი რაოდენობით შეჰქმნეს პარტკაბინეტები საწარმოებთან, პროპაგანდისტთა სემინარები, პროპაგანდისტთა მოკლევადიანი კურსები და სხვ. ხარისხის საზიანოდ ამ დაწესებულებათა რაოდენობისათვის გამოდევნებას ის მოჰყვა, რომ პარტკაბინეტები და პროპაგანდისტთა სემინარები საჭირო პარტიულ ხელმძღვანელობას მოკლებულნი აღმოჩნდნენ, ხოლო პროპსემინარებისა და პარტკაბინეტების ხელმძღვანელთა კვალიფიციური კადრების ნაკლებობას მოჰყვა მათი მუშაობის ხარისხის გაუარესება, პროპაგანდისტების დაუკმაყოფილებლობა მათში საქმის დაყენებით, ამ გამოდევნებამ სემინარებსა და კაბინეტებში სიარული ფორმალურ ვალდებულებად გადააქცია.

გადააქციეს რა წრეებში სიარული პარტიის წევრების ვალდებულებად, უყურებდნენ რა პარტიულებს, როგორც დაწყებითი კლასების მარად მოწაფეებს, რომელთაც არ შესწევთ იმის უნარი, რომ დამოუკიდებლად შეისწავლონ მარქსიზმ-ლენინიზმი, პარტორგანიზაციებმა მთელ რიგ ადმინისტრატიულ ხრიკებს მიჰმართეს იმისათვის, რომ წრეებში ჩაებათ და შეენარჩუნებინათ პარტიის წევრები, კომუნისტების მიმართ წვრილმანი მეურვეობისა და წრეებში მათი მუშაობის რეგლამენტაციის გზას დაადგნენ.

წრეების მუშაობაში არასწორი და პარტიის წევრთა იდეურ-პოლიტიკური ზრდის შემაფერხებელი სკოლარული მეთოდები დამკვიდრდა, რაც იმით გამოიხატა, რომ ყველა წრისათვის სწავლების „ერთიანი დღეები“, მათი მუშაობის ერთიანი რეგლამენტები შემოიღეს, საუბრისა და ცოცხალი ამხანაგური დისკუსიის მეთოდი განდევნეს წრეებიდან.

პარტორგანიზაციები ამით არ დაკმაყოფილდნენ და ხელი მიჰყვეს ბიუროკრატიულ და მავნე საქმეს — „კონტროლი გაეწიათ“ მარქსისტულ-ლენინური წიგნის თვითეული მკითხველისათვის და აეძულებინათ, რათა ანგარიში ჩაებარებინათ წაკითხულში.

საპროპაგანდო მუშაობაში ამ არასწორი მიზანდასახულობათა შედეგად კომუნისტებს, რომელნიც ვალდებულნი არიან მთელი რიგი წლების განმავლობაში ერთსადაიმავე წრეებში იმეცადინონ და რომელნიც მოკლებულნი არიან სათანადო დახმარებას იმისათვის, რომ შინ შეისწავლონ მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურა, თეორიული მომზადების ინტერესი ეკარგებათ, ხოლო წრეების მეცადინეობაზე დასწრება ხშირად მძიმე ტვირთად იქცევა.

წრეებში შესვლისას ნებაყოფლობის პრინციპის დარღვევამ, წრეებში პარტიის წევრების მექანიკური, იძულებითი ჩარიცხვის ბიუროკრატიულ ადმინისტრატიულმა პრაქტიკამ, არასწორმა შეხედულებამ წრეებზე, როგორც პარტიული განათლების ერთადერთ ფორმაზე, პარტიულებს იმის რწმენა შეურყია, რომ მათ დამოუკიდებელი კითხვის გზით შეუძლიათ წარმატებით შეისწავლონ მარქსიზმ-ლენინიზმი. ამით ზიანი მიადგა კომუნისტების მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ღრმად, დამოუკიდებლად შეთვისების საქმეს, პარტიული კადრების იდეურ ზრდას.

საჭიროა აღვუდგინოთ კომუნისტებს თავის ძალისა და უნარის რწმენა მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისათვის.

საჭიროა გავაქარწყლოთ საზიანო ცრურწმენა, თითქოს მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლა შეიძლება მხოლოდ წრეში, მაშინ როდესაც სინამდვილეში მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლის მთავარ და ძირითად საშუალებას დამოუკიდებელი კითხვა წარმოადგენს.

2) პრესის საშუალებით წარმოებული პროპაგანდის საზიანოდ წრეობრივი მუშაობისა და სიტყვიერი პროპაგანდის განუზომლად გაზვიადების ერთერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს საერთოდ საზიანო გათიშვა ბეჭდვითი და საერთოდ სიტყვიერი პროპაგანდის ორგანიზაციაში, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა პროპაგანდის განყოფილებებისა და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებების ცალცალკე არსებობაში როგორც საოლქო და სამხარეო კომიტეტებსა და ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებში, ისე საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპარატშიაც.

მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდაში მთავარ, გადამწყვეტ იარაღს უნდა წარმოადგენდეს ბეჭდვითი სიტყვა—ჟურნალები, გაზეთები და ბროშურები, ხოლო სიტყვიერ პროპაგანდას უნდა ეკავოს დამხმარე ხელშემწყობი ადგილი. ბეჭდვითი სიტყვა საშუალებას იძლევა ესა თუ ის ჭეშმარიტება ერთბაშად გახადოს ყველას საკუთრებად, ამიტომ იგი სიტყვიერ პროპაგანდაზე უფრო ძლიერია. პროპაგანდის ხელმძღვანელობის ორ განყოფილებას შორის განაწილებამ კი გამოიწვია ბეჭდვითი სიტყვის როლის შემცირება მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდაში და ამით ბოლშევიკური პროპაგანდის გაქანების შევიწროვება, კუსტარულობა და მოუწყობლობა.

პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებებმა, გამოედევნენ რა წრეების რაოდენობას და შეზღუდეს რა თავიანთი მოქმედება სიტყვიერი პროპაგანდით, პროპაგანდის საქმისათვის არ გამოიყენეს პარტიული პრესა და ამის შედეგად შესაძლებლობა მოუსპეს თავისთავს ხელმძღვანელობა გაეწიათ პროპაგანდისათვის არსებითად.

თავის მხრივ პრესის განყოფილებები, მოკლებულნი პროპაგანდისტთა საჭირო კვალიფიციურ კადრებს, რომელნიც თითქმის მთლიანად ჩაეფლნენ სიტყვიერ პროპაგანდაში, უუნარონი აღმოჩნდნენ გაეწიათ მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა პრესის საშუალებით.

3) უმნიშვნელოვანეს ნაკლს პარტიული პროპაგანდის საქმეში წარმოადგენს ის, რომ პარტიული ორგანიზაციები უყურადღებოდ ეპყრობიან პოლიტიკური მომზადების საქმეს, ჩვენი კადრების, ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციის,— პარტიული კომკავშირული, საბჭოთა სამეურნეო, კოოპერატიული სავაჭრო, პროფესიული, სასოფლო-სამეურნეო, გამანათლებელი და სამხედრო კადრების, ესე იგი, იმ პარტიული, სახელმწიფო და საკოლმეურნეო აპარატის მარქსისტულ-ლენინური გამობრძმედის საქმეს, რომელთა დახმარებითაც ჰმართავს მუშათა კლასი და გლეხობა საბჭოთა ქვეყანას. ჩვენი პარტიული პროპაგანდის პრაქტიკამ, რომელიც ყურადღებას აქცევს უმთავრესად დაზგის მუშათა ჩაბმას, მხედველობიდან გაუშვა სამეთაურო კადრები—ჩვენი საბჭოთა, პარტიული და არაპარტიული ინტელიგენცია, რომელიც გუშინდელი მუშებისა და გლეხებისაგან შესდგება.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ ერთერთ თავის ამოცანად ისახავს ბოლო მოუღოს ამ ველურ, ანტილენინურ, უყურადღებო მოპყრობას ჩვენი, საბჭოთა ინტელიგენციისადმი და მათი პოლიტიკური. ლენინური აღზრდის საჭიროებებისადმი.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ მიმართულია, უწინარეს ყოვლისა, პარტიული, კომკავშირული, სამეურნეო და სხვა მუშაკთა ხელმძღვანელი კადრებისადმი, მთელი ჩვენი პარტიული და არაპარტიული ინტელიგენციისადმი როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

ჩვენი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ხელმძღვანელი ლენინური კადრები, პრაქტიკული მუშაობით გართულნი, ძლიერ ჩამორჩნენ თეორიის დარგში. ჰქმნიდა რა პარტიის ისტორიის კურსს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამოცანად ისახავდა დაეწყო ჩვენი კადრების ამ თეორიული და პოლიტიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი გამოდიოდა იქიდან, რომ... „ჩვენ რომ შევძლებდეთ, ჩვენ რომ მოვახერხებდეთ ჩვენი პარტიული კადრები, თავიდან ბოლომდე, იდეოლოგიურად მოვამზადოთ და იმგვარად გამოვაწრთოთ ისინი პოლიტიკურად, რომ მათ შეეძლოთ თავისუფლად გარკვევა საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში, ჩვენ რომ შევძლებდეთ გავხადოთ ისინი სავსებით მომწიფებულ ლენინელებად, მარქსისტებად, რომელთაც ექნებათ უნარი გადასჭრან სერიოზული შეცდომების დაუშვებლად ქვეყნის ხელმძღვანელობის საკითხები, ჩვენ ამით გადავჭრიდით ყველა ჩვენი ამოცანის ცხრა მეათედს“ (სტალინი).

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი გამოდიოდა იქიდან, რომ ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ხელოვნება მოითხოვს თეორიის ცოდნას, ე. ი. საზოგადოების განვითარების კანონების, მუშათა მოძრაობის განვითარების, პროლეტარული რევოლუციის განვითარების, სოციალისტური მშენებლობის განვითარების კანონების ცოდნას და იმის უნარს, რომ გამოვიყენოთ ეს კანონები პრაქტიკულ მუშაობაში სოციალისტური მშენებლობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

ყველა ჩვენი კადრები საბჭოთა ინტელიგენციის უზარმაზარ არმიას შეადგენენ. საბჭოთა ინტელიგენცია მთელი თავისი ფესვებით დაკავშირებულია მუშათა კლასთან და გლეხობასთან, ეს სრულიად ახალი ინტელიგენციაა, რომლის მსგავსიც მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ არის.

არცერთ სახელმწიფოს არ შეეძლო და არ შეუძლია იოლად გამოვიდეს, თუ მას თავისი ინტელიგენცია არა ჰყავს, მით უფრო ვერ გამოვა იოლად მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო, თუ თავისი ინტელიგენცია არა ჰყავს. ჩვენს ინტელიგენციას, საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაზრდილს, შეადგენენ სახელმწიფო აპარატის კადრები, რომელთა დახმარებითაც ეწევა მუშათა კლასი თავის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ესენი არიან გუშინდელი მუშები და გლეხები და მუშათა და გლეხთა შვილები, რომელნიც სამეთაურო პოსტებზე დაწინაურდნენ. ინტელიგენციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისეთ ქვეყანაში, როგორიც არის ჩვენი ქვეყანა, სადაც სახელმწიფო წარმართავს მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგს, მათ შორის სოფლის მეურნეობასაც, და სადაც თვითეულ სახელმწიფო მუშაკს იმისათვის, რომ მან თავისი მუშაობა შეგნებულად და წარმატებით შეასრულოს, უნდა ესმოდეს სახელმწიფოს პოლიტიკა, მისი ამოცანები ქვეყნის გარეთ და შიგნით.

მაშასადამე, საბჭოთა ინტელიგენციის მარქსისტულ-ლენინური აღზრდის ამოცანა ბოლშევიკების პარტიის ერთერთი ყველაზე უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ მიუხედავად ინტელიგენციის ესოდენ დიდმნიშვნელოვანი როლისა საბჭოთა სახელმწიფოში, დღემდე ჯერ კიდევ არ არის დაძლეული უგულვებელმყოფელი დამოკიდებულება ჩვენი ინტელიგენციისადმი, რაც წარმოადგენს მის შესახებ იმ შეხედულებათა და მასთან იმ ურთიერთობათა ფრიად მავნე გადმონაშთს ჩვენს საბჭოთა ინტელიგენციაზე, რომლებიც გავრცელებული იყო რევოლუციამდელ პერიოდში, როცა ინტელიგენცია მემამულეთა და კაპიტალისტთა სამსახურში იმყოფებოდა.

ეს უგულვებელმყოფელი დამოკიდებულება ინტელიგენციისადმი თავის გამოხატულებას ჰპოულობს იმაში, რომ მივიწყებულია იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა კადრებთან, მიტოვებულია პოლიტიკური მუშაობა ინტელიგენციაში, მოსამსახურეებსა, მასწავლებლებსა და ექიმებს შორის, სტუდენტობაში, კოლმეურნე ინტელიგენციაში და სხვებს შორის, იმაში, რომ უგულვებელმყოფელ — ქედმაღლურ დამოკიდებულებას იჩენენ პარტიული და არაპარტიული ინტელიგენციისადმი, როგორც მეორე ხარისხის ადამიანისადმი, თუნდაც ეს გუშინდელი სტახანოველი იყოს, რომელიც თავის დამსახურებათა გამო დაწინაურებულია საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელ პოსტზე.

საბჭოთა ინტელიგენციისადმი ასეთი ანტიბოლშევიკური დამოკიდებულება ველურ, ხულიგნურ და საბჭოთა სახელმწიფოსათვის საშიშ მოვლენას წარმოადგენს. საჭიროა შევიგნოთ, რომ სწორედ იმ გარემოებამ, რომ ინტელიგენციაში, ჩვენს კადრებს შორის მივიწყებულია პოლიტიკური მუშაობა, ის გამოიწვია, რომ ჩვენი კადრების ნაწილი, რომელიც პარტიის პოლიტიკური გავლენის გარეშე აღმოჩნდა და რომელიც მოკლებული იყო იდეურ გამოწრთობას, პოლიტიკურად გადასცდა, გზა-კვალი დაებნა და უცხოეთის დაზვერვათა და მათი ტროცკისტულ - ბუხარინული და ბურჟუაზიულ - ნაციონალისტური აგენტურის კერძი გახდა.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სთვლის, რომ ინტელიგენციისადმი ამ „მახაევურ“, ანტილენინურ დამოკიდებულებას ბოლო უნდა მოეღოს.

საბჭოთა ინტელიგენცია მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით უნდა აღვზარდოთ.

ასეთი ინტელიგენციის გარეშე საბჭოთა სახელმწიფო წარმატებით ვერ უხელმძღვანელებს ქვეყანას.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ საბჭოთა ინტელიგენციის ასეთი აღზრდის საშუალებას წარმოადგენს.

### III

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1) არასწორად ჩაითვალოს პრაქტიკა პარტგანათლების ქსელის წრეებში ჩაბმული კომუნისტების რაოდენობისათვის გამოდევნებისა პროპაგანდის ხარისხის საზიანოდ, პრაქტიკა, რომელიც იწვევს ძალების დაქსაქსვას და საპროპაგანდო მუშაობის დონის დაწევას.

2) დაევალოს პარტიულ ორგანიზაციებს მოსპონ ორგანიზაციული კუსტარულობა პარტიული პროპაგანდის საქმეში, დაამყარონ საჭირო ცენტრალიზაცია მის ხელმძღვანელობაში და იმგვარად გარდაქმნან პარტიული პროპაგანდის ორგანიზაცია, რომ უზრუნველჰყონ მისი ხარისხის, მისი იდეური დონის ამაღლება.

3) მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდას საფუძვლად დაედოს „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსი“.

დიფერენცირებულ იქნას საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლა შემდეგნაირად:

კადრების **ძირეული** რგოლისათვის, რომელთა შორისაც მოიპოვება არასაკმაოდ მომზადებული ამხანაგების მნიშვნელოვანი ნაწილი, მიზანშეწონილია კურსის შესწავლა შემოკლებული მოცულობით პარტიის ისტორიის სამი ძირითადი ეტაპის მიხედვით: 1) ბრძოლა ბოლშევიკური პარტიის შექმნისათვის (I — IV თავები), 2) ბოლშევიკების პარტია პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლაში (V — VII თავები), 3) ბოლშევიკების პარტია ხელისუფლების სათავეში (VIII — XII თავები).

**საშუალო** რგოლისათვის რომელიც შედარებით უფრო მომზადებული ამხანაგებისაგან შესდგება და რომელიც ჩვენი კადრების ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან რგოლს წარმოადგენს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი რეკომენდაციას იძლევა შესწავლილ იქნას „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კურსი“ მთლიანად, მასში მოცემული 12 თავის მიხედვით.

**უმაღლესი** რგოლისათვის, ე. ი. ყველაზე უფრო მომზადებული ამხანაგებისათვის, მიზანშეწონილია შესწავლილ იქნას „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“. თვითეული თავის ქვეგანყოფილებათა მიხედვით, მარქს - ენგელს - ლენინ-სტალინის სათანადო ნაწარმოებთა პირველწყაროებით შესწავლასთან ერთად.

4) ვინაიდან მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლის მთავარ მეთოდად უნდა გახდეს დამოუკიდებელი შესწავლის მეთოდი, წინადადება მიეცეთ საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებსა და ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს შეამცირონ პარტიული განათლების წრეების რაოდენობა.

თვითეულ დიდ საწარმოში, დაწესებულებაში, უმაღლეს სასწავლებლებში ამჟამად არსებული მრავალი ათეული, ზოგჯერ კი ასეული წრეების ნაცვლად, საქმისადმი სწორი მიდგომის დროს მიზანშეწონილი აღმოჩნდება ვიქონიოთ დიდ საწარმოში, დიდ დაწესებულებაში დაახლოებით 2-3 წრე ძირეული კადრებისათვის, 2-3 წრე საშუალო დონისათვის და 1 მაღალი ტიპის წრე ყველაზე უფრო განვითარებული და მომზადებული ადამიანებისათვის, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში — რამდენიმე წრე საშუალო და მაღალი ტიპისა.

სოფლის რაიონებში, თუ მოიპოვებიან ისეთი პირნი, რომელთაც სურთ შეისწავლონ წრეებში „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, და თუ მოიპოვებიან კვალიფიციური პროპაგანდისტები, შეიძლება ვიქონიოთ რამდენიმე წრე სოფლის ინტელიგენციისათვის: პარტიული და საბჭოთა აქტივისათვის, მასწავლებლებისათვის, ვაჭრობა-კოოპერაციის მუშაკებისათვის, კოლმეურნეთა აქტივისათვის და სხვ.

წრეების რაოდენობის შემცირებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ნამდვილად კვალიფიციური პროპაგანდისტებით მათი უზრუნველყოფის ამოცანა.

5). მოისპოს ადმინისტრატიულ-ბიუროკრატიული პრაქტიკა პარტიული განათლების წრეებში კომუნისტების იძულებითი ჩარიცხვისა. განემარტოს თვითეულ კომუ-

(დასასრული მე-2 გვ.)

# „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ

## საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

### (დასასრული)

[illegible]

მძლავნელობით. საკ. კ. პ. (ბ) საქალაქო, საოლქო და სამხარეო კომიტეტებმა მუდმივი კონტროლი უნდა განახორციელონ პროპაგანდისტთა სემინარების მუშაობის შინაარსზე.

პროპაგანდისტთა სემინარების მუშაობა საკ. კ. პ. (ბ) ისტორიაში აგებულ უნდა იქნას საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლის სამი ძირითადი ფორმის მიხედვით, ამასთან, ისეთი ანგარიშით, რომ პროპაგანდისტთა სემინარები „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესწავლის დროს წრეებზე გაცილებით უფრო ადრე ხდებოდეს.

სემინარი არ შეიძლება პროპაგანდისტთა „გაბერვის" ადგილს წარმოადგენდეს. მეცადინეობა პროპაგანდისტთა სემინარებში იმნაირად უნდა მოეწყოს, რომ უზრუნველყოფილ იქნას სემინარის თვითეული მონაწილის შემოქმედებითი მუშაობა და სწარმოებდეს თეორიულ საკითხთა ცოცხალი განხილვა, რათა უზრუნველყოფილ იქნას ამხანაგური დისკუსია თეორიულ და მეთოდურ საკითხებზე.

9) დაევალოს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებას გააერთიანოს ჩვენი პარტიის ყველაზე უფრო კვალიფიციური პროპაგანდისტები, ლექტორები, მომხსენებლები და კონსულტანტები, რომლებმაც უნდა ითანამშრომლონ თეორიულ ჟურნალებსა და ცენტრალურ გაზეთებში, გამოვიდნენ ადგილებზე ლექციებითა და მოხსენებებით და საქმიანი დახმარება აღმოუჩინონ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდაში.

[illegible]

ლექცია სერიოზულ დახმარებას უნდა წარმოადგენდეს იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს" და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებებს. საჭიროა წაკითხულ იქნას აგრეთვე ლექციები საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებსა და ცალკეულ თეორიულ და პოლიტიკურ საკითხებზე. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ ლექციის შემდეგ ლექტორი უპასუხებდეს მიცემულ შეკითხვებზე. შემოღებულ იქნას პრაქტიკაში ღია ლექციების ორგანიზაცია დასწრებისათვის მცირე საფასურით.

8). ლიკვიდირებულ იქნას კუსტარულობა და უკონტროლობა პროპაგანდისტებთან მუშაობაში, რაც გამოიხატა პარტკაბინეტებისა და პროპაგანდისტთა სემინარების ხელაღებით გავრცელების გამოდევნებით. დაევალოს პარტორგანიზაციებს ორი თვის განმავლობაში შეისწავლონ და გადასინჯონ პარტკაბინეტების ქსელი, შეამცირონ მათი რაოდენობა და პარტკაბინეტები დასტოვონ პროპაგანდისტთათვის დახმარების აღმოსაჩენად და კონსულტაციის გასაწევად იმათთვის, ვინც პოლიტიკურ თვითგანათლებას, როგორც წესი, პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან ეწევა. საწარმოებსა და დაწესებულებებში არსებული პარტიული კაბინეტები, რომლებიც არ არიან უზრუნველყოფილნი კვალიფიციური კონსულტანტებით, უნდა შემცირდნენ ან გამოყენებულ იქნან სამკითხველოებისა და ბიბლიოთეკების სახით იმათთვის, ვინც თვითგანათლებას ეწევა. დაევალოს პარტორგანიზაციებს შეამცირონ პროპაგანდისტთა სემინარების რაოდენობა და პროპაგანდისტთა სემინარების მუშაობა გადაიტანონ საკ. კ. პ. (ბ) დიდ საქალაქო რაიკომებში, საქალაქო კომიტეტებში, საოლქო კომიტეტებსა და სამხარეო კომიტეტებში.

პარტიულმა ორგანიზაციებმა პროპაგანდისტთა სემინარების შექმნის დროს უნდა უზრუნველჰყონ ისინი მარქსისტულად განათლებული და პოლიტიკურად შემოწმებული ხელ-

ბი, საუკეთესო პროპაგანდისტების ლექციები და „პასუხები" მკითხველთა „შეკითხვებზე". მოეწყოს „პრავდის", „კრასნაია ზვეზდის", „კომსომოლსკაია პრავდისა" და აგრეთვე რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო პარტიული და კომკავშირული გაზეთების რედაქციების შემადგენლობაში პროპაგანდის განყოფილებანი, ჩაყენებულ იქნან მათს სათავეში თეორიულად მომზადებული ამხანაგები და მოწვეულ იქნან რედაქციების პროპაგანდის განყოფილებებში სამუშაოდ საუკეთესო პროპაგანდისტები.

საჭიროდ ჩაითვალოს ჟურნალ „ბოლშევიკის" გადახალისება იმგვარად, რომ იგი წარმოადგენდეს პარტიის თეორიულ ორგანოს და სრულიად-საკავშირო კონსულტაციას მარქსიზმ-ლენინიზმის საკითხებზე, ათავსებდეს თავის ფურცლებზე პასუხებსა და ახსნა-განმარტებებს იმ თეორიულ და პოლიტიკურ საკითხებზე, რომლებიც აინტერესებს პარტიის წევრებს და უპარტიოებს.

დაევალოს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას და სახპოლიტგამომცემლობას უზრუნველჰყონ პოპულარული ბროშურების გამოცემა პროპაგანდისტებისა და განსაკუთრებით ძირეული აქტივის დასახმარებლად, რომელიც პარტიის ისტორიას სწავლობს, აგრეთვე შეიმუშაონ პარტიის ისტორიის სახელმძღვანელოების გამოშვების გეგმა.

11) დაგმობილ იქნას, როგორც სიველურე და ხულიგნობა, უგულებელმყოფელი დამოკიდებულება საბჭოთა ინტელიგენციისადმი და მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებზე მისი იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ამოცანებისადმი. დაევალოს პარტიულ ორგანიზაციებს აღადგინონ საბჭოთა ინტელიგენციისადმი სწორი ბოლშევიკური დამოკიდებულება და გააჩაღონ იდეურ-პოლიტიკური მუშაობა ინტელიგენციაში, მოსამსახურეთა შორის, სტუდენტობასა და კოლმეურნე ინტელიგენციაში. პროპაგანდის დარგში პარტორგანიზაციების უპირველეს და მთავარ ამოცანად ჩაითვალოს პარტიული და არაპარტიული ინტელიგენციის კადრების თეორიული და პოლიტიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა ინტელიგენციისათვის ყოველგვარი დახმარება ბოლშევიზმის დაუფლებაში, საკ. კ. პ. (ბ) ისტორიისა და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა შესწავლაში.

12) აღინიშნოს თეორიული ფრონტის მუშაკთა სერიოზული ჩამორჩენა, რაც გამოიხატება მათი თეორიული სისუსტით, იმით, რომ მათ ეშინიათ გაბედულად დასვან აქტუალური თეორიული საკითხები, ჩაბულბულებისა და ასოკირკიტობის გავრცელებით, მარქსიზმ-ლენინიზმის ცალკეულ დებულებათა ვულგარიზაციით და შერყვნით, თეორიულ აზრის ჩამორჩენით. პარტიის მიერ სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე დაგროვილი უდიდესი პრაქტიკული გამოცდილების თეორიული განზოგადების ნაკლებობით მოწოდებულ იქნას თეორიული ფრონტის ყველა მუშაკი გადაჭრით და სწრაფად გამოასწორონ თეორიული ფრონტის შეუწყნარებელი ჩამორჩენა, ბოლო მოუღოს იმ თეორიული საკითხების გაბედულად დასმის შიშს, რომელნიც წინ სწევენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, ბოლო მოუღოს ასოკირკიტობას, ჩაბულბულებას, სქოლასტიკას, მარქსისტულ-ლენინური თეორიის ცალკეულ დებულებათა ვულგარიზაციასა და შერყვნას.

13) ლიკვიდირებულ იქნას იდეოლოგიური მეურნეობის უპატრონოდ მიგდება, რასაც გამოხატავს კერძოდ, არადამაკმაყოფილებელი მუშაობა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტისა, რომელმაც დაუშვა მთელი რიგი დამახინჯებანი და არასიზუსტენი მარქსისა და ენგელსის თხზულებათა რუსულ ენაზე გადათარგმნისას, აგრეთვე მავნებლური ხასიათის უაღრესად უხეში პოლიტიკური შეცდომები ლენინის თხზულებათა ზოგიერთი ტომის დამატებებსა, შენიშვნებსა და კომენტარიებში.

14) დაევალოს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტს უმოკლეს ვადაში გამოასწოროს მარქს-ენგელსის თხზულებათა რუსულ ენაზე გადათარგმნისას დაშვებული დამახინჯებანი, აგრეთვე უაღრესად უხეში პოლიტიკური შეცდომები, რომლებიც მოიპოვება ვ. ი. ლენინის თხზულებათა, მაგალითად, XIII ტომის დამატებებსა და შენიშვნებში.

დაევალოს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტს დააჩქაროს მარქს-ენგელსისა და ვ. ი. ლენინის თხზულებათა ხელახლად გამოცემა.

15) აღინიშნოს ჩვენი თეორიული ჟურნალების მოწყვეტა ჩვენი პარტიის ცხოვრებისა და ბრძოლის საარსებო საკითხებისაგან, მათი კარჩაკეტილობა და აკადემიზმის ტენდენციები.

დაევალოს თეორიული ჟურნალების რედაქციებს გარდაჰქმნან თავიანთი მუშაობა, უზრუნველჰყონ თავის ფურცლებზე აქტუალური თეორიული საკითხების დასმა; სოციალისტური მშენებლობის გამოცდილების განზოგადება, ჩვენი კადრების თეორიულ მოთხოვნილებათა მომსახურება, ახალი თეორიული პრობლემების დამუშავება და შემოქმედებითი დისკუსია თეორიის საკითხებზე.

16) ხელმძღვანელი პარტიული კადრების პოლიტიკური გადამზადების იმ სისტემის დამატებად, რომელიც საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმმა დააწესა, შემდეგი ღონისძიებანი გატარდეს პარტიის კვალიფიციური პროპაგანდისტული კადრების გადამზადებისა და მომზადების საქმეში:

ა) მოეწყოს პროპაგანდისტთა და საგაზეთო მუშაკთა გადასამზადებელი წლიური კურსები შემდეგ ცენტრებში: 1) მოსკოვი, 2) ლენინგრადი, 3) კიევი, 4) მინსკი, 1) როსტოვი, 6) თბილისი, 7) ბაქო, 8) ტაშკენტი, 9) ალმა-ატა, 10) ნოვოსიბირსკი. ამ ცენტრებში მოწყობილი პროპაგანდისტთა გადასამზადებელი წლიური კურსები უნდა ემსახურებოდნენ არა მარტო მოცემულ ოლქს, მხარეს, არამედ აგრეთვე მოსაზღვრე ოლქებს, მხარეებს, რესპუბლიკებს. პროპაგანდისტთა წლიური კურსების პროგრამა შედგენილ უნდა იქნას „ლენინური კურსების" პროგრამის შესაბამისად, ხოლო მეცადინეობა აგებულ უნდა იქნას იმგვარად, რომ განავითაროს პროპაგანდისტული მუშაობის ჩვევები, მარქსისა და ენგელსის, ლენინისა და სტალინის ნაწარმოებთა დამოუკიდებლად და ღრმად შესწავლის ჩვევები.

პროპაგანდისტთა გადასამზადებელი ყველა წლიური კურსების მსმენელთა საერთო კონტინგენტი დაწესდეს 1500-2000 კაცის რაოდენობით, იმგვარად, რომ ამ შემადგენლობაში დაახლოებით ნახევარს შეადგენდნენ საგაზეთო მუშაკები.

ბ) მოეწყოს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან მარქსიზმ-ლენინიზმის უმაღლესი სკოლა სამწლიანი კურსით პარტიის მაღალკვალიფიციური თეორიული კადრების მოსამზადებლად.

17) მარქსისტულ-ლენინური თეორიის სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში აგებულ იქნას „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" ღრმად შესწავლის საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით:

ა) ლენინიზმის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის დამოუკიდებელი კურსების ნაცვლად, უმაღლეს სასწავლებლებში შემოღებულ იქნას ერთიანი კურსი — „მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები", ამასთან სასწავლო გეგმაში დატოვებულ იქნას საათების საერთო რაოდენობა, რომელიც წინათ დათმობილი ჰქონდა სოციალურ-ეკონომიურ დისციპლინებს. მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძვლების სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში უნდა იწყებოდეს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესწავლით, მარქსიზმ-ლენინიზმის პირველ წყაროებით შესწავლასთან ერთად. პოლიტიკური ეკონომიის სწავლება უნდა ხდებოდეს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის" შესწავლის შემდეგ.

ბ) დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, ლენინიზმისა და საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ამჟამად არსებული ცალკეული კათედრების ნაცვლად, უმაღლეს სასწავლებლებში შეიქმნას მარქსიზმ-ლენინიზმის ერთიანი კათედრა.

გ) უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში, სადაც მოიპოვება ფილოსოფიური, სისტორიო, სალიტერატურო ფაკულტეტები, დატოვებულ იქნას ამ ფაკულტეტებზე დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კურსის სწავლება.

დ) დაევალოს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას და უმაღლესი სკოლის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტს შეარჩიონ 1939-40 სასწავლო წლის დამდეგისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრების ხელმძღვანელები და წარუდგინონ დასამტკიცებლად საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს. წინადადება მიეცეს ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, საკ. კ. პ. (ბ) სამხარეო კომიტეტებს, საოლქო კომიტეტებსა და საქალაქო კომიტეტებს შეარჩიონ თეორიულად მომზადებული და პოლიტიკურად შემოწმებული მასწავლებლები მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებისა.

ე) მოეწყოს მარქსიზმ-ლენინიზმის უმაღლეს სკოლასთან გადასამზადებელი ექვსთვიანი კურსები მარქსიზმ-ლენინიზმის იმ მასწავლებელთათვის, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში ასწავლიან.

## IV

მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის პარტიული ხელმძღვანელობის ძირიანად გაუმჯობესების მიზნით, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

18. გაერთიანებულ იქნან საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის,— ნაცკომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, საკ. კ. პ. (ბ) სამხარეო კომიტეტებისა და საოლქო კომიტეტების პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებანი და ბეჭდვითი სიტყვისა და გამომცემლობათა განყოფილებანი, შეიქმნას პროპაგანდისა და აგიტაციის ერთიანი განყოფილებანი.

19. თავი მოეყაროს პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებებში მთელ მუშაობას მარქსიზმ-ლენინიზმის ბეჭდვითი და ზეპირი პროპაგანდისა და მასობრივი პოლიტიკური აგიტაციის დარგში (პარტიული პრესა; საპროპაგანდო და საგიტაციო ლიტერატურის გამოცემა; მარქსიზმ-ლენინიზმის ბეჭდვითი და ზეპირი პროპაგანდის ორგანიზაცია; საპროპაგანდო მუშაობის იდეური შინაარსის კონტროლი; პროპაგანდისტთა კადრების შერჩევა და განაწილება; პარტიული კადრების პოლიტიკური მომზადება და გადამზადება; მასობრივი პოლიტიკური აგიტაციის ორგანიზაცია).

პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა მუშაობას საფუძვლად დაედოს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ გადაწყვეტილების პრაქტიკული გატარება ცხოვრებაში.

20. მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის ხარისხის ასამაღლებლად საჭიროდ ჩაითვალოს, რათა პროპაგანდის საქმეში პარტორგანიზაციები ამიერიდან, როგორც წესი, ეყრდნობოდნენ ყოველგვარი სხვა სამუშაოსაგან განთავისუფლებული ამხანაგების კადრებს, რომელთაც შეეძლებათ მთლიანად მოახმარონ თავისი ძალღონე ამ სამუშაოს და განუწყვეტლივ აამაღლონ თავისი თეორიული და საპროპაგანდო კვალიფიკაცია.

ამასთან დაკავშირებით დაევალოთ საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებსა და სამხარეო კომიტეტებს შეარჩიონ საუკეთესო პროპაგანდისტები მუდმივ საპროპაგანდო სამუშაოზე.

21. პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა მუშაკები პარტორგანოების მიერ შერჩეულ უნდა იქნან ყველაზე უფრო კვალიფიციური პროპაგანდისტ - პროფესიონალებისა და პარტიული ლიტერატორების რიცხვიდან.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, ნაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, საკ. კ. პ. (ბ) საოლქო, სამხარეო და საქალაქო კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა შემადგენლობაში უნდა მოეწყოს ლექტორთა ჯგუფები.

22. იმასთან დაკავშირებით, რომ საწარმოებთან და დაწესებულებებთან წრეების, აგრეთვე პარტიული კაბინეტების რაოდენობის შემცირება გაათავისუფლებს პროპაგანდისტ-მუშაკთა ნაწილს ქალაქებში, წინადადება მიეცეთ საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებსა და ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს ამ მუშაკთა რიცხვიდან ყველაზე უფრო მომზადებულნი გადაიყვანონ საპროპაგანდო მუშაობის გასაძლიერებლად სოფლის რაიონებში.

23. პარტიის საქალაქო და სარაიონო კომიტეტებთან არსებული კულტპროპები გადაკეთდეს პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებებად. საჭიროდ ჩაითვალოს პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა შექმნა აგრეთვე იმ რაიკომებშიც, სადაც ამჟამად კულტპროპები არ არის. დაწესდეს, რომ პარტიის რაიკომებში პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა შექმნას ნებას რთავს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თვითეული რაიონისათვის ცალკე კვალიფიციურ მუშაკთა შერჩევის მიხედვით, საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტების, ნაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტების წარდგენით.

შეტანილ იქნას პარტიის ქალაქკომების, რაიკომების — პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა შემადგენლობაში საქალაქო და სარაიონო პარტიული კაბინეტები იმ ანგარიშით, რომ პარტკაბინეტების გამგეები იმავე დროს იყვნენ პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებების გამგეთა მოადგილეები.

24. დაწესდეს, რომ პარტიის საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტების, ნაცკომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, საოკრუგო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეებს ამტკიცებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, ხოლო ამ კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა ყველა დანარჩენ პასუხისმგებელ მუშაკებს ამტკიცებენ საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტებისა და ნაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტების ბიუროები.

დაევალოთ საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს, ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს ორი თვის ვადაში მთლიანად შეარჩიონ და დაამტკიცონ პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა მუშაკები.

25. იმის გამო, რომ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის მუშაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდასთან, საჭიროდ ჩაითვალოს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის გადაცემა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგებლობაში.

26. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებს ყველა პარტიულ კომიტეტს სერიოზულად მოჰკიდონ ხელი მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდას — ბოლშევიკური პარტიის სასიცოცხლო საქმეს.

პარტიის კომიტეტები ვალდებული არიან ხელმძღვანელობა გაუწიონ პროპაგანდის საქმეს არსებითად, ღრმად ჩასწვდნენ რა მის შინაარსს. საოლქო კომიტეტებმა, სამხარეო კომიტეტებმა და ნაცკომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა თავიანთ ხელში უნდა აიღონ ხელმძღვანელობა მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის ორგანიზაციის მთელი საქმის გარდაქმნისა ამ დადგენილების შესაბამისად.

მიუთითებს რა ყველა პარტიულ ორგანიზაციას, რომ ცენტრალური კომიტეტის ამ გადაწყვეტილების სულისკვეთებით პარტიული პროპაგანდის მთელი საქმის გარდაქმნა პარტიული ორგანოებისაგან მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებასა და მზრუნველობას, ცენტრალური კომიტეტი აფრთხილებს პარტორგანიზაციებს პროპაგანდის გარდაქმნისადმი მექანიკურ-ფორმალური მიდგომის საფრთხისაგან, საპროპაგანდო მუშაობის მთელი წინანდელი გამოცდილების ხელაღებით განქიქების რაიმე ცდისაგან.

პარტიული პროპაგანდის საქმის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით დაწესდეს, რომ თვითეულ საქალაქო კომიტეტს, საოლქო კომიტეტს, სამხარეო კომიტეტსა და ნაცკომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში უნდა იყოს სპეციალური მდივანი, რომელიც მხოლოდდამხოლოდ პროპაგანდისა და აგიტაციის ორგანიზაციისა და შინაარსის საკითხებზე იმუშავებს.

★

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს რაიკომებს, საქალაქო კომიტეტებს, საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებსა და ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს განუმარტონ ეს გადაწყვეტილება პარტიულ აქტივსა და პარტიის ყველა წევრს.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის" გამოსვლამ დასაბამი უნდა მისცეს ჩვენი კადრების — პარტიული, კომკავშირული, საბჭოთა, პროფკავშირული, სამეურნეო, კულტურული მუშაკების, მთელი საბჭოთა ინტელიგენციის კადრების მობრუნებას თავისი თეორიული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისაკენ.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" დასაბამს აძლევს ახალ მძლავრ იდეურ-პოლიტიკურ აღმავლობას ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში.

დაეუფლებიან რა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას, რომელიც გვაიარაღებს საზოგადოებრივი განვითარების კანონების ცოდნით, ჩვენი კადრები ნამდვილად უძლეველნი გახდებიან და ამ თეორიის დროშის ქვეშ, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო წარმატებით წაიყვანენ მთელ საბჭოთა ხალხს კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

1938 წლის 14 ნოემბერი.

# ანტონ ფურცელაძე

ოცდა ხუთი წელი შესრულდა, რაც გარდაიცვალა ცნობილი ქართველი პუბლიცისტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ანტონ ფურცელაძე.

ან. ფურცელაძე თავისი ლიტერატურული მოღვაწეობით ეკუთვნის სამოციანი წლების „ქართული ლიტერატურის სახელოვან პროგ-

[illegible] გიმნაზიის ყვავილი" და სხვ.), დაცულია რამდენიმე სხვა დოკუმენტიც, რომელთაც კავშირი აქვს დიდ პოეტთან. ეს დოკუმენტები ჯერჯერობით არსად არ არის გამოქვეყნებული. ისინი შეიცავენ საინტერესო ცნობებს ბარათაშვილის ცხოვრების ზოგიერთი მომენტის და მისი ხელნაწერების ბედის გასაშუქებლად.

პირველი დოკუმენტი წარმოადგენს დიმიტრი დავითის-ძე ჯორჯაძის (1822-1883) წერილს მიხ. თუმანიშვილთან. ცნობილია, რომ ბარათაშვილი, როდესაც იგი ნახჭევანში იყო მაზრის უფროსის თანაშემწედ (მაზრის უფროსად მაშინ ი. ლევან მელიქიშვილი იყო), ცდილობდა კახეთში გადასვლას, რომ უფრო დაახლოვებოდა თბილისს. მისი გავლენიანი ნათესავები ამ საქმეში არ ეხმარებოდნენ და ბარათაშვილი იძულებული გახდა მიეღო ასეთივე თანამდებობა განჯაში, სადაც მაზრის უფროსად მამუკა ორბელიანი

ფურცელაძის [illegible] დებიუტი და ლიტერატურული ბრძოლა მჭიდროდ არის დაკავშირებული 60-იანი წლების ლიტერატურულ მოძრაობასთან, მაგრამ მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული ნაროდნიკული ლიტერატურის განვითარების საქმეშიც და მას ხალხოსანი მოღვაწის სახელი შერჩა.

ერთი დადებითი თვისება, რომელიც ახასიათებდა ან. ფურცელაძეს, როგორც პროგრესიულ მწერალს, იმაში მდგომარეობდა, რომ ის ყოველთვის ეხმაურებოდა თავისი დროის ახალ პროგრესიულ ლიტერატურულ და პოლიტიკურ მოვლენებს. ამიტომ იყო, რომ ან. ფურცელაძე არ ჩერდებოდა ერთს რომელიმე მიმდინარეობაზე, არამედ ცდილობდა ფეხდაფეხ მიჰყოლოდა ახალ მოძრაობას. „ანტონი ვერ ჩერდებოდა ერთ რომელიმე ლიტერატურულ დარგზე, მიმართულებაზე, მისი ტემპერამენტი ერთობ მღელვარე და დაუდგრომელი იყო: იგი პუბლიცისტიც იყო, ბელეტრისტიც, დრამატურგიც, პოეტიც, ისტორიკოსიც... ახალი მიმართულება, ახალი მდინარება რაიმე აზრისა უაღრესად იტაცებდა, ჩაჰყვებოდა ამ მიმართულების ტალღებსა და ქართულ ლიტერატურაში შეჰქონდა ეს ტალღაო", — ამბობს ფურცელაძის შესახებ მისი მეგობარი ს. მგალობლიშვილი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის თანმიმდევარი არ ყოფილიყო თავის იდეებში.

თავის სიცოცხლეში ან. ფურცელაძე პოპულარული პიროვნება იყო, მაგრამ ქართველ ლიტერატორთა შორის, როგორც მისი თანამედროვეები აღნიშნავენ, იგი ათვალწუნებულ მწერლად ითვლებოდა. ამას უმთავრესად ისევ ან. ფურცელაძის მიუდგომელი ხასიათით ხსნიან. იგი არ ერიდებოდა არავის ავტორიტეტს და მოურიდებლად ებრძოდა მას თუ ამას მოითხოვდა რომელიმე პრინციპული შეხედულების დაცვა. ამ ნიადაგზე მას ხშირად პირადი უთანხმოებაც ჰქონდა მაშინდელ საზოგადო მოღვაწეებთან.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ან. ფურცელაძე ერთი იმ მოღვაწეთაგანი იყო, რომელმაც საქართველოში პირველმა დაიწყო იტალიის ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის გმირის გარიბალდის პოპულარიზაცია. იგი გარიბალდის ბრძოლაში ხედავდა ხალხთა ბორკილის მტვრევას ისეთს მოძრაობას რომელიც საჭირო იყო ქართველი ხალხისათვისაც. ა. ფურცელაძე ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც მხატვრულად სცადა პარიზის კომუნის ამბების ჩვენება. მან პირველმა ჯერ კიდევ 70-იან წლებში დიდი პატივისცემით მოიხსენია კარლ მარქსის სახელი ჩვენს ლიტერატურაში.

ან. ფურცელაძე პირველი გამოეხმაურა ჯერ კიდევ „ცისკარში" (1863) დ. ჭონქაძის „სურამის ციხეს" და აღიარა იგი ბატონყმობის მამხილებელ ნაწარმოებად. მაშინდელ პირობებში ეს არც ისე ადვილი იყო. ასეთი გამოსვლა პროგრესიულობასთან ერთად მოითხოვდა გამბედაობასაც, რაც არასდროს არ აკლდა ან. ფურცელაძეს. „სურამის ციხის" გამო ა. ფურცელაძე სწერდა: „სურამის ციხემ" დასცა ზარი, დაუბადა ტანში ჟრუანტელი სიძვილისა და სიცრუის მქადაგებლებსა; აუმღვრია სისხლი, დაასია ესენი დაწინაურებულ [illegible]ბის პატრონებს [illegible] პატარა ხანს [illegible] ნებული კონსერვატორები გამოვიდნენ ისევ ასპარეზზე და დაიწყეს თავისი საყვირი. აშალეს თავისი თანა[illegible]

როგორც პუბლიცისტს, რადიკალურ აზროვნე[illegible] ფურცელაძეს ახასიათებდა მწვავე პოლემიკური ენა, მან პირველმა აუტეხა ბრძოლა ი. ჭავჭავაძეს და სცადა მისი „საქართველოს მოამბის" მიმართულების გაკრიტიკება, ამავე დროს პისარევის ხელოვნების უტილიტარული პრინციპების თვალსაზრისით, ნ. ბარათაშვილის და თვითონ ილია ჭავჭავაძის ლექსების შეფასება და მათი უარყოფა, რამაც მწვავე ბრძოლა გამოიწვია ი. ჭავჭავაძესა და ან. ფურცელაძეს შორის. ილიამ მაშინ როგორც ცნობილია, გამანადგურებელი პასუხი გასცა ან. ფურცელაძეს და სასტიკად დასცინა მას პისარევის მიმდევრობისთვის.

ბატონყმობის გაუქმებამდე ა. ფურცელაძე ერთი იმათთაგანი იყო, ვინც თამამად გამოსთქვამდა თავის აზრებს ამ სოციალური მონობისა და უსამართლობის წინააღმდეგ. საგლეხო რეფორმის გამოცხადების შემდეგ იგი ილია ჭავჭავაძესთან ერთად ამხელდა ამ რეფორმის მატყუარობას.

ნიჰილიზმიდან ა. ფურცელაძე თანდათან გადავიდა ნაროდნიკული მოძრაობის მიღებამდე, მაგრამ შეელეპურად ქადაგებდა ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის საჭიროებას. სწერდა პატრიოტულ ლექსებს და ისტორიულ მონოგრაფიებს — „გამბედაობის მისაცემად და გასამხნევებლად".

ა. ფურცელაძე მოესწრო 1905 წლის რევოლუციას, რომელსაც სიხარულით შეხვდა: „ჩემს ცხოვრებაში ორის სანეტარო მომენტს მოვესწარი — ამბობდა იგი: — ერთი იყო ბატონყმობის უღლიდან გლეხობის განთავისუფლება, ხოლო მეორე 1905 წლის რევოლუცია". იმას, რასაც ა. ფურცელაძე ქადაგებდა, როგორც პუბლიცისტი, ხშირად მხატვრულ ნაწარმოებებითაც ასაბუთებდა. მხატვრულ ნაწარმოებებში იგი გამოდიოდა ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლად და ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის, პატრიოტიზმის, ნაროდნიკული იდეების გამომხატველად.

ილია ჭავჭავაძის მსგავსად, ან. ფურცელაძე ამტკიცებდა, რომ ქართველი ხალხი არა სჩანს ისტორიაში, რომ ქართველი მეფეები და თავადები მშრომელი ხალხის სისხლით რწყავდნენ საქართველოს. ამ საკითხს რამდენიმე პოემაც მიუძღვნა, როგორც, მაგალითად, „ბაგრატიონთა დიდება", „მარაბდა", „თამარ ლაზნელი", „ცისკარა", და სხვა.

ან. ფურცელაძის ბელეტრისტულ ნაწარმოებებიდან ცნობილია მისი პოპულარული რომანი, „მაცი ხვიტია",—რომანი, რომელიც ისე, როგორც მისივე „მართა", მიმართულია ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ. რომანი „ვაი მართალთა" მოგვითხრობს თუ როგორ დაიღუპა ქართველი რევოლუციონერი პარიზის კომუნის ბარიკადებზე. როგორც იმდროინდელი პრესა აღნიშნავდა ეს ნაწარმოები დაწერილია ი. ტურგენევის „რუდინის" ზეგავლენით. ნაროდნიკული ტენდენცია გატარებულია ა. ფურცელაძის „ქეტესაში", სადაც ავტორი, ისევე,როგორც სხვა მოთხრობებში, გლეხობის ყოფა-ცხოვრების მცოდნე მწერლად მოჩანს.

ფურცელაძის პუბლიცისტურ წერილებს დიდი გავლენა ჰქონდა მისი დროის რადიკალურად მოაზროვნე ახალგაზრდობაზე, მის მხატვრულ ნაწარმოებებს დიდი გატაცებით კითხულობდა ხალხი, მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკა აღნიშნავდა ამ ნაწარმოებების დეფექტებს არამხატვრულობას და სხვ. ა. ფურცელაძეს, როგორც მხატვარს და პოეტს, მრავალი უარყოფითი მხარე ჰქონდა, იგი დაუდევრად სწერდა, არა ზრუნავდა, რომ მოთხრობები დახვეწილად, მხატვრული სრულყოფით დაემუშავებინა. მიუხედავად ამისა, ისეთი ნაწარმოები, როგორიცაა „„მაცი ხვიტია", „ქეტესა", „მართა", ქართული პროზის საუკეთესო ნიმუშებად ჩაითვლება.

ან. ფურცელაძე გარდაიცვალა 1913 წელს 17 ნოემბერს. დასაფლავებულია ს. მერეთში. მისმა გარდაცვალებამ მნიშვნელოვანი გამოხმაურება ჰპოვა ქართულ საზოგადოებაში. ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან, როგორც მებრძოლ პუბლიცისტს და დაუდგრომელს საზოგადო მოღვაწეს, მას ნახევარი საუკუნის მანძილზე მაგრა ეჭირა ხელში თავისი კალამი და იბრძოდა ქართველი ხალხის უკეთესი და ბედნიერი მომავლისათვის.

ა. სულავა

# ა. ფურცელაძის შემოქმედებაში პროტოტიპის საკითხი

ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პროტოტიპების საკითხი ანტ. ფურცელაძის შემოქმედებაში.

როგორც ირკვევა, მისი ცნობილი გმირი მაცი ხვიტია ამავე სათაურის რომანიდან გადახატულია 70-იანი წლების სამეგრელოში სახელგანთქმულ ყაჩაღიდან მაციდან.

ანტ. ფურცელაძის მთელი რიგი პერსონაჟები ბიოგრაფიულ ხაზებს ატარებენ.

ყველაზე დიდ ინტერესს ამ მხრივ იწვევს გმირები მოთხრობისა „ვაი მართალთა". ამ მოთხრობის უკანასკნელ ფურცლებზე ანტონ ფურცელაძე გვიხატავს პარიზის კომუნის შესანიშნავ სურათებს — პარიზის აჯანყებული მუშების გმირულ ბრძოლას პირსისხლიან ვერსალელებთან. ამ ისტორიულ ბრძოლაში პარიზის ბარიკადებზე სახელოვნად კვდება ანტონ ფურცელაძის გმირი მიშო.

არის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც მწერალმა მიშოს პროტოტიპად აიღო ცნობილი ხალხოსანი რევოლუციონერი მიშო ყიფიანი. მაგრამ საინტერესოა, რა მოვლენების გავლენით გახადა ანტონ ფურცელაძემ თავისი გმირი, ქართველი ახალგაზრდა, პარიზის კომუნის მონაწილედ?

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ 70-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზროვნება დიდი თანაგრძნობით გამოეხმაურა პარიზის მუშათა კლასის გმირულ ბრძოლას. ჩვენი მაშინდელი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა კომუნისადმი თანაგრძნობით აღსავსე წერილები. მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასარკვევად 1872 წ. „დროებაში" დაბეჭდილი ერთი ქრონიკა. ამ წლის დროების 22-ე ნომერში ვკითხულობთ:

„ერთი ჩვენი კორესპონდენტი შემდეგ საკვირველ ამბავს გვწერს წიგნში საზღვარგარეთიდან: „ამას წინად აქ (შვეიცარიაში) ერთი პარიჟელი ფრანცუზი გავიცანი. ამ ფრანცუზს შარშან მისს პარიზის კომუნაში მიეღო მონაწილეობა, ერთი ბატალიონის წინამძღოლი იყო და ამისგამო ეხლა, როგორც ბევრი სხვები, ესეც აქ არის გადმოვარდნილი. სხვათა შორის, იმან მითხრა, რომ ჩემს ხელქვეით ერთი ქართველი, სახელად ბაგრატიონი მსახურებდაო და ძლიერ მხნე და ვაჟკაცი ყმაწვილი იყოვო. ეს ბაგრატიონი, როგორც შემდეგ შევიტყვე, იმერეთის მეფის შთამომავლობისა ყოფილა, ის მოუკლავთ პარიზის ერთს ბარიკადზე იმ დროს, როდესაც ვერსალის ჯარმა პარიზი აიღო".

შესაძლოა ამ ფაქტმა მისცა საბაბი ანტონ ფურცელაძეს თავისი გმირი პარიზის კომუნის ბარიკადებისაკენ გაესტუმრებინა.

გ. აბზიანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი

**სიმონ ჩიქოვანი**

მე გადავყურებ მტკვარზე საღამოს —
შენი თვალებით ხილულ ბუნებას.
ჩემ წინ ჩინარი ზეცას გააპობს
და მწუხრში ფიქრით მოილუნება.

თითქო სტრიქონიც მტკვარში ირხევა,
ვით მოელვარე სატრფოს საყურე.
მოვდივარ, მყუდრო ჟამი ირღვევა,
შემხვდი და ჩრდილი გადამახურე.

მიხმობს, მეძახის სული ობოლი,
ახლა არაგვიც მორბის ანკარა.
სატრფოს ყური და წუთისოფელი
ბეჭდის თვალივით ლექსში ჩამჯდარა.

შიგ ჩამწყვდეულა მტკვარის დუდუნი,
ჟანგი სანთურის, ფიქრი ფარული.
შორს გატყორცნილი, როგორც შურდული,
შავი მერანი ნიავქარული.

გარდასულ დროიდან შენ გეძახოდა
მუხლაზანზარის ველზე მხედარი.
მისმა სიმღერამ გული დაჰკოდა
გული მშფოთარი, გული ნეტარი.

გული რა გული! მთლად დადაგული!
ყორნის ფრთიანი ბედი ვერანი,
სივრცე ტიალი და უდაბური
და მოჭიხვინე შავი მერანი.

მტკვარი მოგყვება მორჩილ ლანდივით,
გეხმაურება ქართლის ბუნება.
მუხლაზანზარზე სჩანს ავთანდილი
და შენს ვარსკვლავებს ესაუბრება.

მიჰქრის და მიჰქრის ბრძენი ვეზირი —
რომ დაგიამოს წყლული მრავალი;
შორს სამშობლოდან გადახვეწილი
და მნათობებთან თანამავალი.

შენც მისებრ იყავ დაუდგრომელი,
აღარ იგუე არსად სამარე.
დაბლობს ებრძოდი მთების მდომელი,
სანამ მთაწმინდას არ მიგაბარეს.

აწ მოისვენე მშობლის უბეში,
თავზე გადგია ბრძენის ნათელი.
როგორ ჩაჰტიე მაინც კუბოში
შენი შფოთვა და კორიანტელი!

როგორ ჩაჰტიე სული მზიანი,
შენი მერანის ქროლვა ხმიანი,
არაგვის რბენა არაგვიანი
და მოგუგუნე მთანი ტყიანი!

მე მეჩვენება, შენი მერანი
მთაწმინდას ურტყამს დაჭედილ ტორებს,
ისმის ტორების მთაზე თქერანი
და მტკვარი ხმაურს გაიმეორებს.

ფრთიან რაშივით მოშხუის ლექსი
და მომართული ყალყზე დადგება.
მარადისობის გუგუნი გვესმის
და ბავშვებს მთაზე დაგვალამდება.

აგვახმიანებს ქარი ჩონგურის
და უდაბური ძველი ადგილი.
კაცი უცხოეთს გადაკარგული
ხალხში სიმღერით შემოვა რბილი.

აღსდეგ, გმირთ-გმირო, სულო ანკარა,
განახლებული მხარე იხილე
შენი სამშობლო მკვდრეთით ამდგარა,
შენი მერანი შვებით ჭიხვინებს.

# ა რ ა გ ვ ი ა ნ ი

**გაბრიელ ჯაბუშანური**

## ს ა მ ი ძ მ ა

ნაზად შეარხევს რტოებს ცირცელი,
მოგესალმებათ ძმებს მოწიწებით
და ფშავისხევი, ვით მასპინძელი,
გაგიღებთ კარებს გაფაციცებით.

გაგიკვირდებათ კლდე შემართული,
რომ დაუშლია რაღაც განგებას,
ბოძებზე შემღერს მავთულს მავთული
და მთების მიღმა გზა იკარგება.

მთვარის მკრთალ შუქზე მოსჩანს ჩარგალი
(ხევს შეხიზნული იხტიოზავრი),
სოფელში შედის ავტო ქაქანით,
როგორც მეჯლისში გვიანი მგზავრი.

ბაჩანა თედოს ღამით შეხედავს,
ვაჟას ატყვია სევდის ნასახი.
თენდება — სიო მოგფენთ შეხვედრილთ
ჩარგალელ გოგოს ფხიან დაძახილს.

მზე სისხლისფერად დაფერავს ლაჟვარდს,
არაგვზე ნისლი გაიფატრება,
თქვენ ჩაფიქრდებით წუთით და ვაჟას
ამ ქვეყნად მოსვლა მოენატრება.

## ე თ ე რ ი

აქ აძოვებდა ნახირს ეთერი,
აქ შენატროდა ბულბულის ენას.
წყლის პირას იდგა კლდეთა კედელი
და დაჰყურებდა ზვირთების დენას.

ჰქუხდა არაგვის ტალღა ქაფური,
ერთხმოვან ძახილს ისმენდნენ მთანი,
ხეობა ვიწრო და უდაბური
მწყემსს დარაჯობდა ყაჩაღის თვალით.

დრომ და ბუნებამ შეჰკრეს კავშირი
და არ უწევდნენ ობოლს დედობას,
მთებს შესჩიოდა რაზიკაშვილი
ეთერის დარდსა და უბედობას.

დღეს ტურფა ქალის ცრემლით ნაცვარი
შავი ყვავილი დასჭკნა, ჩავიდა,
გარდაიცვალო დედინაცვალი
და სხვა სიმღერა ისმის ფშავიდან.

ის კლდის შრეებიც ნალმით გაჰკვეთეს,
დაწყდა სიბნელის ყველა ძაფები,
ეხლა გოდერძის ვინ მისცემს ეთერს,
როცა ცხოვრება მზეს ესწრაფება.

# კ ა ხ ე თ შ ი

**იოსებ ნონეშვილი**

ელნათურები დაბინდულ სივრცეს
ამოექარგნენ ოქროს ღილებად
და ეზოებში გაჩაღდა ისევ
ტაშფანდური და გაშაირება.

მარნებში ჩადგა ქარვის ღიმილი
ბარაქიანი მიწის მოსავლით:
სიცოცხლეს ტკბილად შეჰღიღინებენ
ახალგაზრდა და ჭაღაროსანი.

გინდა ყურებით დაითვრე მხოლოდ....
რამ აჩუქურთმა სიტურფით სავსე
ცა — ფარშევანგის გაშლილი ბოლო,
მიწა, ხავერდით ტანმოხასხასე.

დაღესტნის ქარმა კახეთის ცაზე
გადმოიტანა წკრიალი თარის
და ზევით თითქოს სიმღერის ხმაზე
დაირასავით შეირხა მთვარე.

# საბჭოთა კინემატოგრაფიის ბრწყინვალე გამარჯვება

## გრანდიოზული ფილმი

„დიადი განთიადის" სცენარის ავტორებმა გ. ცაგარელმა და მ. ჭიაურელმა ერთ სიუჟეტურ რკალში მოაქციეს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინამოსამზადებელი პერიოდის გრანდიოზული ფაქტები. სურათში დამაჯერებლად და მხატვრულად არის გახსნილი ლენინის გენიალური ფორმულა — ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის შესახებ.

სურათის ღირსება იმაშია, რომ ის გასაგებად და დამაჯერებელი მხატვრული ფერებით გადმოგვცემს სოციალისტური რევოლუციის წინამოსამზადებელ პერიოდს.

სურათში ძალიან კარგადაა მოცემული ჯარისკაცების სულიერი განწყობილება ფრონტზე, მათი ბრძოლა დროებითი მთავრობის წინააღმდეგ. ამ იდეას და სულისკვეთებას მასებისას ჩინებულად გამოხატავენ სურათში მოქმედი გმირები: ერმოვი, ლუდუშაური და პანასიუკი. ეს გმირები სხვადასხვა ეროვნებას ეკუთვნიან, მაგრამ მათ მჭიდროდ აკავშირებს ერთმანეთთან ერთი საერთო იდეა და კლასობრივი ინტერესები. ერმოვი გამოხატავს რუსეთის პროლეტარიატის განწყობილებას, გიორგი გამოდის საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის წარმომადგენლად, ხოლო პანასიუკი უკრაინელია. ეს სამი ამხანაგი ფილმში ჰქმნის ხალხთა ძმობისა და მეგობრობის დიდებულ სურათს.

ფილმში მაღალი ოსტატობითაა მოცემული პარტიის ისტორიიდან მთელი რიგი ცნობილი, დამახასიათებელი მომენტები. მაგალითად: რუსს და გერმანელ ჯარისკაცთა დაძმობილება ფრონტზე, ლენინი ქოხში მისი არალეგალურად მუშაობის დროს, პარტიის მე-6 ყრილობა, სადაც დიდმა **სტალინმა** მოღალატეებს და გამცემლებს გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა.

დიდი **ლენინის** სახეს ფილმში ჩინებულად ჰქმნის გრიბოედოვის თეატრის მსახიობი მიუფკე.

მ. გელოვანი შესანიშნავის ოსტატობით იძლევა ჩვენი საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** პორტრეტს — მთელი თავისი სიბრძნითა და ადამიანური უბრალოებით.

თბილი, მიმზიდველი და დამაჯერებელია ახალგაზრდა კინომსახიობი ს. ბალაშვილი, რომელიც ოსტატურად ჰქმნის ქართველი ჯარისკაცის ლუდუშაურის ამაღელვებელ სახეს. კარგია აგრეთვე უკრაინელი პანასიუკი (მსახ. ივანოვი). შედარებით სუსტია მსახ. მატოვი ერმოვის როლში, მის თამაშს გადაჭარბებული თეატრალობა ემჩნევა, რაც როლს საგრძნობლად აყალბებს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ფილმის მუსიკალური მხარე. კომპოზიტორ გოკიელის მუსიკა ჩინებულად გამოხატავს ფილმის რევოლუციურ გრძნობას და მებრძოლ ჯარისკაცთა ოპტიმისტურ განწყობილებას.

სურათი „დიადი განთიადი" უდიდესი განძია საბჭოთა კინემატოგრაფიაში. იგი ქართული კინემატოგრაფიის ბრწყინვალე გამარჯვებას წარმოადგენს.

ამ სურათით რეჟ. მ. ჭიაურელმა ღირსეულად დაიმკვიდრა დიდი მხატვრისა და უნიჭიერესი რეჟისორის სახელი.

**ვ. კარსანიძე**



## სოციალისტური რეალიზმის გამარჯვება

მიხ. ჭიაურელის სურათი „დიადი განთიადი" დიდი გამარჯვებაა არა თუ საქართველოს კინომრეწველობისა, არამედ მთელი საბჭოთა კინემატოგრაფიისაც. ეს ფილმი დიდ შინაგან მღელვარებას იწვევს.

შესანიშნავია და დაუვიწყარი მასობრივი სცენები, მაგრამ ყველაზე დიდი აღტაცება გამოიწვია ჩემში ჩვენი დიდი ბელადების **ლენინისა და სტალინის** გამოჩენამ ეკრანზე. ჩვენი ეპოქის ეს უდიდესი ადამიანები, რომელთა გენიითაც დღეს შთაგონებულია მთელი მოწინავე კაცობრიობა, ეკრანზე ცოცხლად არიან წარმოსახულნი თავიანთი მომჯადოებელი ადამიანური თვისებებით.

ეს ფილმი მეტად საგულისხმიერო არის იმითაც, რომ იგი ჩვენთვის, მწერლებისთვის, დიდი გაკვეთილია როგორც სოციალისტური რეალიზმის გამარჯვება.

**დემნა შენგელაია**

## დიდი განთიადი

შეუნელებელი გულისყურით ვუსმენდი და ვუცქეროდი ამ შესანიშნავ სურათს. რეჟისორ მ. ჭიაურელს გულწრფელად ვულოცავთ ამ ბრწყინვალე გამარჯვებას. ის, ვისაც ჭიაურელის წინანდელი სურათები უნახავს, რასაკვირველია, მისგან მოელოდა ასეთ მაღალ მხატვრულ ნაწარმოებს; მას მთელი თავისი ენერგია, ნიჭი და თემისადმი ღრმა სიყვარული ჩაუქსოვია ამ სურათში. საქართველოს კინომრეწველობას ნამდვილად შეუძლია სთქვას, რომ ეს გამარჯვება მართლაც მთელი საბჭოეთის კინემატოგრაფიის მუშაკთა გამარჯვებაა. ამიტომაც მიიღო მან ღირსეული შეფასება მოსკოვისა და მთელი ჩვენი ქვეყნის მაყურებელთაგან. წარუშლელად რჩება მაყურებლის მეხსიერებაში ნათელი სცენები გმირული ბრძოლებისა, მშრომელი კაცობრიობის გენიალური ბელადების **ლენინისა** და **სტალინის** სახეები, რომელთაც შესანიშნავი ოსტატები მიუფკე და გელოვანი ანსახიერებენ.

**ირ. აბაშიძე.**

## მაღალი მხატვრული ნაწარმოები

ძლევამოსილი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 21 წლისთავზე საქართველოს სახელმწიფო კინოსტუდიამ ორდენოსან რეჟისორ მიხეილ **ჭიაურელის** ხელმძღვანელობით დასდგა კინო სურათი—**„დიადი განთიადი"**. მესამე კვირაა, რაც „დიადი განთიადი" მიდის საბჭოთა კავშირის ყველა საუკეთესო კინო-თეატრის ეკრანზე. ყოველდღიურად საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან მოდის ცნობები „დიადი განთიადის" მხატვრული გამარჯვების შესახებ. ამრიგად, „დიადი განთიადის" სახით ჩვენ საქმე გვაქვს განვითარების ახალ ეტაპთან კინო-ხელოვნებაში.

საბჭოთა სახელოვანმა კინო-მრეწველობამ არა ერთხელ მოგვცა შემოქმედებითი პროდუქციის ბრწყინვალე ნიმუში. საკმარისია დავასახელოთ „ჩაპაევი", რომელიც მორიგი, გრანდიოზული გამარჯვება იყო საბჭოთა კინოსი. „ჩაპაევით" თანამედროვე საბჭოთა მაყურებლის თვალწინ ბრწყინვალედ აღსდგა სამოქალაქო ომის მძაფრი წლები. ჩვენ იქ ვნახეთ შესანიშნავი ადამიანები, რომლებიც **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიის უძლეველი და უწმინდესი დროშის ქვეშ რაინდულად იბრძოდნენ საბჭოთა ხალხის თავისუფლებისათვის. იქ ვნახეთ ადამიანები, რომლებიც საკუთარი სისხლით ამაგრებდნენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს.

რეჟისორ მ. ჭიაურელის „დიადი განთიადი", როგორც ზემოდ ვსთქვით, ახალი ეტაპის დასაწყისია საბჭოთა კინო-შემოქმედებაში. აქ, ამ სურათში საბჭოთა მრავალმილიონიანმა მაყურებელმა ნახა ჩვენი დიდი ბელადების — **ლენინისა** და **სტალინის** საყვარელი სახეები. როცა „დიად განთიადს" ვუყურებთ, ცოცხლად ვხედავთ, თუ როგორ დასრულდა ადამიანთა ისტორიის კოშმარული პროლოგი და დაიწყო კაცობრიობის ნამდვილი ისტორია, რომლის გენიალური შემოქმედნი არიან **ლენინი** და **სტალინი**.

„დიადი განთიადის" შესანიშნავ კადრებში ცოცხლდება ახალი ეპოქის დიადი განთიადის დასაწყისი. კაცობრიობის ახალი ისტორიის გენიალურ შემოქმედთ, ეპოქის უდიდეს ადამიანებს — **ლენინსა** და **სტალინს** „დიად განთიადში" ვხედავთ თავიანთ ჭეშმარიტ ადამიანურ, მარად დაუვიწყარ ქცევებში. ამ მხრივ მ. ჭიაურელის სურათი, ჩვენი კინო-მრეწველობის შედევრად დარჩება.

უეჭველად საყურადღებოა ლუდუშაურის როლი. ამ როლის შემსრულებელი ახალგაზრდა არტისტი ს. ბალაშვილი გაზრდილა თავისი შემოქმედებითი პოტენციით.

რეჟისორ მ. ჭიაურელს მაყურებელი იცნობს როგორც დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობის მქონე რეჟისორს. უკანასკნელ წლებში საბჭოთა ეკრანს ჭიაურელმა მისცა საქვეყნოდ ცნობილი სურათები „უკანასკნელი მასკარადი" და „არსენა". მაღალ-მხატვრული ღირებულების პროდუქციისათვის საბჭოთა მთავრობამ ჭიაურელი დააჯილდოვა **ლენინის** ორდენით. ეს მაღალი ჯილდო რეჟისორს, როგორც შემოქმედს, ბევრს, ძალიან ბევრს ავალებდა. „დიადი განთიადით" მან ეს ვალდებულება შეასრულა.

„დიადმა განთიადმა" გაარღვია ქართულ კინო-მრეწველობაში შტამპად ქცეული ვიწრო ეტნოგრაფიული კინო-ფილმების ტრადიცია და გაშლილი სახით გამოვიდა საკავშირო ასპარეზზე, როგორც მაღალი ღირებულების მხატვრული ნაწარმოები.

**დ. ბენაშვილი**

## დიდი ეპიური ფილმი

საბჭოთა კინემატოგრაფიამ მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება.

„დიადი განთიადი" წარმოადგენს დიდ ეპიურ ფილმს რევოლუციური ბრძოლების შესახებ.

რეჟისორმა მ. ჭიაურელმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი მაღალი ოსტატობა და შეუჩერებელი შემოქმედებითი ალმავლობა. ფილმი გვაოცებს როგორც თავისი გრანდიოზულობით, ისე სისადავით. გასაოცარი ოსტატობითაა დამუშავებული ყოველი დეტალი, და ზოგიერთ ადგილას, მიუხედავად იმისა, რომ ხდება უბრალოდ კადრების განმეორება, ერთი წუთითაც არ ნელდება მაყურებლის ღრმა შთაბეჭდილება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ორი ეპიზოდი: **ლენინი** რაზლივში და **სტალინის** სიტყვა პარტიის მეექვსე ყრილობაზე.

**აკაკი ბელიაშვილი**

# დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა

**კონსტანტინე გამსახურდია**

კონსტანტინე გამსახურდიას ამ ახალ რომანში, რომლის ნაწყვეტსაც აქვე ვათავსებთ, ნაჩვენებია ერთის მხრით ქართველ ხალხის ბრძოლა ბიზანტიელ დამპყრობლების წინააღმდეგ მეთერთმეტე საუკუნეში, ქრისტიანიზმის ცეცხლითა და მახვილით გავრცელება საქართველოში, ხოლო მეორეს მხრით აქვე გვიხატავს ავტორი მცხეთის ტაძრის ოსტატის კონსტანტინე არსაკიძის ტრაგიულ ბედს; მეფის ტირანიისა და სასახლის ინტრიგების წყალობით იღუპება დიდი ხელოვანი.

შორეული წლის შემოდგომამდის ბნელში ისხდნენ მამამზე და ბორდოხან. თერთმეტი თვე მიიწურა და უკვე მაცნენი უნდა დაეგზავნათ, წლისთავისათვის მოეწვიათ მოტირალნი და მოზარენი, სწორედ იმ ღამეს უსიამო სიზმარი ნახა მამამზემ.

პაპისეულ საძვალეში ჭიაბერის სამარხის ლოდზე ისხდნენ ვითომ იგი და ტოხაისძე, საფლავის ჯვარს შესცქეროდნენ დამწუხრებულნი.

ეს აღარ იყო უბრალო ქვის ჯვარი, რომელიც ბორდოხანმა აღმართვინა კალატოზებს ჭიაბერის საფლავზე, არამედ კლარჯეთელი ძელი ცხოველი.

მიწაში ფესვები გაედგა ჯვარს და გაზრდილიყო, კაცის სიმაღლე გამხდარიყო. მაჯის სისხო ვაზი შემოხვეოდა გარს.

დააცქერდნენ, რქა აეყარა ვაზს.

გაოცდა მამამზე: ვინ დარგაო ძელი ცხოველი ჭიაბერის საფლავზე? ადგნენ, მიეახლნენ. შეირხა რქანაყარი ვაზი.

დახედეს აღარც ვაზი იყო სადმე აღარც რქაი.

შეტოკდა უზარმაზარი გველი, გარს შემოეჭდო ჯვარს, წაიგრძელა, წაიგრძელა კისერი, გაასავსავა თავი და ორკაპიანი ენით მისწვდა ლურჯბლიან ცას.

გაიძრო ტოხაისძემ ჭიაბერისგან ნაჩუქარი ხმალი და თავი წააცალა უხსენებელს.

მიწაზე დაეცა გველისთავი, პირი დააბჩინა და იქედნურად იცინის.. გამოეღვიძა მამამზეს, ადგა, სარკმლის ხვრელთან მივიდა.

ცისკარი მოსდგომოდა ბნელ სავანეს.

ავადმყოფი ბორდოხან ბორგავდა თივაზე.

შავლეგ ტოხაისძე იხმო მამამზემ, სიზმარი უამბო. სთხოვა: წამიყვანე ჭიაბერის საფლავზე.

ციხის ეზო გადაიარეს.

ბნელში ჯდომას უცნაურად შეეცვალა მოხუცი. ნამჭვარტლარ მატყლივით გახდომოდა თმაწვერი. ძლივს მოკელანობდა ცალკერა სახლთუხუცესის მხარსა, ცალკერძ შინდის ჯოხს დაყრდნობილი.

მწუხარება მკერდზე მიყრდნობოდა საგოდებელში დუმილს. ხავსს დაეფარა წინაპართა საფლავები, შექანებულიყვნენ ქვის ჯვრები, სვიას, ხვიარას და კაჟაჟს მოეცვა ლოდები, ალვის ფოთლები მოწყვეტილად სცვიოდნენ მიწაზე.

გაოცდა მამამზე, ახალი სამარხი რომ ვერსად იპოვნა, ერისთავთ-ერისთავებისა და მათ თანამემცხედრეთა ხავსმოდებული ლოდები ეყარნენ ირგვლივ.

თავზე წაადგა ჭიაბერის საფლავს, ჯოხით გადაფოცხა ფოთლები. შეშფოთდა მამამზე.

ვინ მოიპარაო ლოდი? სიზმარი ენიშნა ანაზდად.

მე ავიღეო ლოდი, გამოუტყდა ტოხაისძე.

შესცქერის გაოგნებული მამამზე ტოხაისძეს და ასე ჰგონია გაგრძელდაო წუხანდელი სიზმარი.

„ეს ხომ პაპი ჩემის გვარამის ლოდია შავლეგ?".

„დიახ, ეს გვარამის ლოდია, პაპის შენისა, ერისთავთ ერისთავო".

„ჭიაბერის ლოდი რაღა იქნა შავლეგ?".

„გადავმალე ერისთავთ-ერისთავო ჭიაბერის ლოდი".

„რაღა ჰქენი ეს შავლეგ?".

„საჭიროდ ვცანი და იმდაც ერისთავთ-ერისთავო".

„როგორ თუ საჭიროდ სცანი?".

„რა ვიცით, რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე".

„რას როშავ ბედშავო შავლეგ?".

„სიბრძნის დედაა სიფრთხილე ერისთავთ-ერისთავო".

„გარკვევით თქვი რისი თქმაც გწადის?".

„სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ ყოველივე ერთად არ ითქმის ერისთავთ-ერისთავო".

„მაინც?".

„განა არ იცი, გიორგი მეფე გულმხეცია, თუ საქმე მისჭირდა და ცოცხლებს ვერა დააკლო რა, მიცვალებულზე იძიებს შურს".

მამამზეს მუხლი მოეჭრა, პაპისეულ ლოდზე ჩამოჯდა, ხელის გულზე ყბა დააყრდნო, და მიწას დააჩერდა მდუმარედ:

„განა არ გახსოვს ერისთავთ-ერისთავო ხურსი აბულელი სარკინოზებთან რომ გაექცა მეფეს, ციხე წართული, ხურსის ვაჟების ძვლები ამოთხარა აბულელთა საძვალედან, ღორსა და ძაღლს ათრევინა".

„ჰო მაგრამ, მეფე შეგვირიგდა აკი, ჭიაბერის ტირილს დაესწრო, ორმოცზედაც აქ იყო".

„ამის მიზეზი სხვა იყო ერისთავთ-ერისთავო".

„მაინც რაო?".

„სხვას ვინმეს უჭვრეტდა ჭიაბერის ტირილზე მეფე".

???

„ვის გულისხმობ მაინც?".

„შორენას, კოლონკელიძის ქალს".

„ნუ თუ ასე გულბოროტია გიორგი? არა, ამას ვერ დაგიჯერებ შავლეგ, ისე გულწრფელად მისტიროდა იმ დღეს ჭიაბერს".

„სტიროდაო? ეგ რად გიკვირს ერისთავთ-ერისთავო? მკვლელებსა და ლოთებს ასე სჩვევიათ, ჯერ ღვინითა და სისხლით გაილეშებიან, შემდგომ ამისა მოჰყვებიან ცრემლების ნთხევას".

„რას ამბობ შავლეგ?...

მკვლელიო? რა ბრალი მიუძღვის მეფე გიორგის ჭიაბერის სიკვდილში?.. ძელი ცხოველის რისხვამ იმსხვერპლა ჭიაბერი".

„ძელი ცხოველის რისხვამო? ნუთუ შენაც გჯერა ეს ზღაპარი ერისთავთ-ერისთავო, მსტოვარმა ბერებმა გაავრცელეს იგი ქორსაწეველას ციხეში.

თუ მაგ ჯვარს შერისხვა შეეძლო, თალაგვა კოლონკელიძე უნდა მოეკლა უწინარეს ყოვლისა, ფხოველთა ამბოხი თალაგვამ წამოიწყო-ტკი?".

მამამზე დადუმდა, ისევ დააშტერდა ჭიაბერის საფლავს.

„გარკვევით თქვი, რისი თქმაც გინდა შავლეგ?".

„გიორგი მეფემ და ზვიად სპასალარმა მოჰკლეს ჭიაბერი! ამის თქმა მინდოდა ერისთავთ-ერისთავო, სხვა არაფერი".

„ღმერთს ნუ ჰგმობ უსაფუძვლოდ შავლეგ".

„საფუძველს თუ მოიკითხავთ, ეგეც ხელთა მაქვს ერისთავთ-ერისთავო".

„რა საფუძველი?..."

„პირუთვნელად მოგახსენებ, სანამ ბორდოხან შენი თანამემცხედრე ბნელსა ზის, ძელი ცხოველის ჯვართან მიმიყვანე და ყოველივე ნათელს ვყოფ შენ თვალ წინ".

გაოცდა მამამზე, რაღაც საშინელი და გაუგონარი მზაკვრობისათვის უნდა აეხადა საფარველი შავლეგს.

მამამზემ იცოდა გულმხეცი რომ იყო გიორგი მეფე, მაგრამ თუ მას ფარისევლური ცრემლების ნთხევაც შეეძლო, ეს არ ეგონა მას?.

მის ხელში დავაჟკაცდა გიორგი, ტლანქია იგი და გულზვიადი, მაგრამ მლიქვნელიც თუ იყო, ეს არ ეგონა მამამზეს.

ციხე-დარბაზში რუსუდანსა და კატაის ეძინათ ჯერაც, როცა მამამზემ და ტოხაისძემ დიდი დარბაზი გაიარეს და ჭიაბერისეულ საწოლში კარი გადაიკეტეს, ტოხაისძე ჯიქურ მიეჭრა ძელი ცხოველის ჯვარს.

მამამზეს შვილივით ჰყავდა იგი გამოზრდილი და შეძრწუნდა როცა ტოხაისძე ასე უშიშრად მიეახლა „სასწაულთ-მომქმედ კლარჯეთის ჯვარს" არ იცოდა თუ რას მოიმოქმედებდა ტოხაისძე, ხელი არ ახლოვო უნდა ეყვირა, მაგრამ ცნობისწადილმა შეიპყრო და შეიკავა თავი.

ტოხაისძემ გადმოიღო ძელი ცხოველი, ტაბლაზე დაასვენა. ლუსკუმა გახსნა, და ჯვარი ამოიღო, სუნი უდინა და ისევ დაასვენა ტაბლაზე.

„აბა მობრძანდი ერისთავთ-ერისთავო და უყნოსე ამ ჯვარს".

მამამზე წამოდგა, გარღვეულივით დაბარბაცდა, მაგრამ ღონე მოიკრიფა, მიეახლა, დასწვდა და უყნოსა ჯვარს.

სუნი თუ მოგდისო? ეკითხება ტოხაისძე.

„სუნი დიახაც უდის, მერმე რა, შესაძლოა ეგ ოფლის სუნი იყოს, ადამიანის ოფლის სუნი, ხანგრძლივად ნახმარსა და ნაამბორებ ჯვრებს რომ უდის იმგვარი. სხვა რამ სუნიც რომ უდიოდეს, მერმე რა?".

„რაო და მე იმას მოგახსენებთ, ეს ჯვარი მოწამლულია ერისთავთ-ერისთავო".

„რას როშავ შავლეგ, გონს მოდი ბედშავო".

„მე იმას მოგახსენებთ, რომ ეს ჯვარი მოწამლულია, სხვას არაფერს".

„ყველა, ყველა, მაგრამ მელქისედეკ კათალიკოსი ამას არ იკადრებდა. როგორ? მელქისედეკმა ეს იცოდა და განზრახა აამბორებინა ჭიაბერს?".

„არა შესაძლოა ეს არ ცოდნოდა მელქისედეკს, მაგრამ იგი რეგვენია მხოლოდ. მელქისედეკი ამ ჯერად ბრმა იარაღი იყო მეფისა და სპასალარის ხელში".

„არა, შენ სცდები შავლეგ, ჩვენ ხომ ვიცით, კოლონკელიძეც ემბორა ამ ჯვარს, მაგრამ არა ვნებია რა".

„ეგ მეც ვიცოდი ერისთავთ-ერისთავო, ამიტომაც დავეთხოვეთ გასულ კვირას, კვეტარის ციხეში გახლდით, თალაგვას წვრილად გამოვკითხე. კოლონკელიძეს ლუსკუმისათვის ამბორუყვია მხოლოდ.

„ხოლო ჭიაბერს... ხომ გახსოვს დიდ დარბაზში, ჩვენს თვალწინ გაახსნევინა მელქისედეკმა ჯვარისმტვირთველის ვაშკარანები, ხოლო ლუსკუმა თავათ გახსნა ძელი ცხოველის ჯვარი ამოიღო და ტუჩპირამდის მიუტანა ჭიაბერს.

გველცემულივით წამოიჭრა მამამზე.

„შენი ნათქვამი მეჭეშმარიტა შავლეგ, მაგრამ როგორ შევამოწმოთ მოწამლულია თუ არა ჯვარი?".

„ბრძენთა ხმობა არ დაგვჭირდება ერისთავთ-ერისთავო ამისთვის. ჭიაბერის შავი მწევარიც იოლად გამოარკვევს ამას. ეს ძაღლი სიცოცხლეში ურთგულესი იყო, მაინც სიკვდილის პირზეა ბედშავი, უკანასკნელად დაუმოწმებს თავდადებას პატრონს".

ესა სთქვა და დარბაზიდან გავიდა ტოხაისძე.

შეძრწუნდა მარტო შთენილი მამამზე. თვალი დაადგა ძელი ცხოველს. ჯვარი თუჯისფრად იყო გამხდარი, საუკუნეთა მანძილზე ნალოშნს ალაგ ალაგ სიშავე გადაცლოდა, სწორედ იმ ადგილებზე, სადაც უკოცნიათ იგი, იმ ადგილზე, სადაც ჭიაბერი ემბორა უკანასკნელად.

მიუახლოვდა მამამზე ჯვარს.

მივალ და ვემთხვევიო, მაგრამ უკუიქცა, ეს უნდოდა: ღვთისა და კაცის მუხანათობაში დარწმუნებულიყო სავსებით.

შემდგომ ამისა... შემდგომ ამისა, ახალი მიზანი ექნებოდა მის ცხოვრებას,—ჭიაბერის სისხლის აღება.

ჰაერი ელოტავა, წამოდგა, სამზერთან მივიდა. აქედანაც მოსჩანდა წინაპართა საძვალე და ძველთა ძველი სამლოცველოს ნანგრევი. აჩქარებულა ტოხაისძე სანამ მამამზე ცოცხალია, ჭიაბერის საფლავს ვერავინ შებღალავს. გამობრუნდა, თვალი გადაავლო ჭიაბერისეულ სამოსს ზეზისას, მის თორსა და მის მუზარადს, კედელზე დაკიდულ ქეიბურებსა და ხმლებს.

„მე მოვეკალი იმ ოხერ ჯვარს შვილო და შენ აგელო ჩემი სისხლი აჰ აჰ, ნეტავ მართლაც..."

ტოხაისძე აღარსად სჩანდა, მთელ საუკუნოდ მოეჩვენა წამი.

კარი შემოაღო შავლეგმა. შავი მწევარი მოჰყავდა საბელით. მოდიოდა შავი მწევარი სიზმარში ნახულ გველივით მოიკლაკნებოდა იგი.

ტოხაისძემ ქონის საჭერი ამოიღო ჯიბიდან და გაუსვა ძელი ცხოველს სწორედ იმ ადგილზე სადაც აჩნდა მრავალგზისი ნაამბორევი. ზედ ცხვირთან მიუტანა მწევარს. ძაღლმა დაჰყნოსა ჯვარი, სისხლისფერი ენით გალოკა ძელი.

შავლეგ ტოხაისძემ აიღო ჯვარი, ისევ ლუსკუმაში ჩასდო და ტაბლაზე დასდო.

„ქრისტეს ჯვარს დიდი უბედურება მოჰყვა ჩვენში. ამ ბოროტების სათავე ბიზანტიონია ერისთავთ-ერისთავო.

დამპალი ქალაქია ბიზანტიონი. ბასილი კეისრის სასახლეში ბევრი რამ გავიგეთ ჭიაბერმა და მე. თვალების დაბნელება, ძელზე გაყვანა, მოწამლვა და მკვლელის მიჩენა ეს ყოველივე ბიზანტიონში ისწავლეს ჩვენმა მეფეებმა.

ახლა უფლისწული ბაგრატი ჰყავთ მანდ ბერძნებს მძევლად, იქ უკეთესს ამბებს ასწავლიან მას და როცა იგი მობრუნდება, მაშინ გვიხაროდეს...

დამპალი ქალაქია ბიზანტიონი, გარყვნილებისა და მუხანათობის ბუდე. სამი თვე ემზადებოდა ბასილი კეისარი თურქების წინააღმდეგ სალაშქროდ. სასახლეში ვცხოვრობდით ჭიაბერი და მე, ერთი სომეხი მოჩენილი გვყავდა თარჯიმნად, ის გვიამბობდა ყოველივეს წვრილად.

საეკლესიო კრებები მიდიოდა იმ ჟამად. ორი თვე გაგრძელდა ერთი. ეს გამოჩერჩეტებული პატრიარქი სრულიადის აღმოსავლეთისა, ქორეპისკოპოსებში ეპისკოპოსები, მსწავლულები და ბერები ორი თვე ზედ ასქდებოდნენ ურთიერთს იმის გამოსარკვევად თუ რამდენ ანგელოსს დაიტევს ნემსის წვერი?.

კეისრის სასახლე ომის სამზადისში იყო, მაინც ამ კრებებს ესწრებოდა დიდი და მცირე. თურქების საფრთხე კარზე იყო მოსული.

წევსო თუ სდგასო მამალმერთი? შეუძლია თუ არა ღმერთს უმამოდ შვილი გააჩინოს, უველოდ მთა,— ან მეძავი აქციოს ქალწულად?.

ყველა ამის გამო ქაქანებდა და კამათობდა. ეს იყო...".

შავლეგ ტოხაისძეს სიტყვა პირში გაუწყდა, შავი მწევარი უეცრად წაიქცა და დაიწყო ფხარკალი, ისევ აიღო თავი, წინა თათებზე ზეწამოიწია, იატაკზე დაეცა კვლავ, ტარაბუასავით დატრიალდა რკალივით მოდრეკილი, პირიდან დუჟი მოსდიოდა კარაქის ფერი და ხაოდა და საწყალობლად.

მამამზე და ტოხაისძე თავზე დაადგნენ სულთმობრძავ ცხოველს.

წინა თათების ჭანგებით ფხაჭნიდა იგი იატაკს, მერმე უკანა ფეხები შეატოკა, შეატოკა და კვლავ ასტეხა ფხარკალი, უკანასკნელად დაიწკმუტუნა წაიგრძელა კისერი, ცილისფერი გუგები შემოაშტერა მამამზეს და ტოხაისძეს და მინებდა სიკვდილს.

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

# „ფოლადაური"

### დადგმა შ. წერეთლისა, მხატვრობა თ. აბაკელიასი, მუსიკა რ. გაბიჩვაძისა

რუსთაველის თეატრმა მიმდინარე სეზონში მეორე პრემიერად დადგა ს. შანშიაშვილის „ფოლადაური".

პიესა ორი ხაზით ვითარდება, რომლებიც ერთი მეორეს ავსებენ, ერთი მეორის გაშლას ხელს უწყობენ. პირველი არის კოლმეურნეობაში მოკალათებული მტრების მავნებლობა და მათი გამომჟღავნება, მეორე და მთავარი არის ბრძოლა კერძო და საზოგადო საკუთრების გრძნობას შორის.

პიესაში დასმული საკითხები უაღრესად მნიშვნელოვანი და აქტუალურია. ს. შანშიაშვილის ყურადღება ამ თემისადმი გამართლებულია.

პიესას აქვს ჩრდილიანი და განათებული ადგილები. უნდა შევეხოთ ერთსაც და მეორესაც.

პიესას აკლია სიღრმე. მოვლენების მხატვრული ანალიზი. იგი უფრო ემპირიულია, ფაქტების აღმნუსხავი, და ეს იმიტომ, რომ მას არა აქვს ძლიერი დრამატიული ნასკვი, დრამატიული ინტრიგა. მაყურებლმა მოქმედ პირთა პირველ სიტყვებიდანვე იცის მათი სოციალური ფუნქციები, მათი ექსპოზიცია მოქმედების განვითარების პროცესში. წინასწარვე გარკვეულია მთავარ მომქმედ პირთა პოზიციები. ეს კი ანელებს მაყურებლის დაინტერესებას მოქმედების განვითარებაში, ანელებს მის „ცნობისმოყვარეობას", მის თრთოლვას, მის მონაწილეობას მომქმედი პირის მომავალ ბედ-იღბალში. პიესას არა აქვს ნასკვი. ამიტომ მას აკლია სიუჟეტური განვითარება. ეს გარემოებაც არ უწყობს ხელს მაყურებელს, რომ მან მთელი თავისი მღელვარებით, სულიერი დაძაბულობით მისდიოს ფეხდაფეხ მომქმედ



პარტორგი—ს. ჯაფარიძე

პირებს. ვფიქრობ, მოიგებდა პიესა, რომ მისი ერთ-ერთი წამყვანი პირის ხარიტონის მავნებლობა არ იყოს დამყარებული პირად შეურაცხყოფაზე, არამედ ხარიტონი გამოყვანილი იყოს როგორც კოლმეურნეობაში თავიდანვე შეპარული მტრული ელემენტების ინტერესების გამომხატველი.

პიესას აკლია მძაფრი კონფლიქტი, მოცემული გმირთა ფსიქოლოგიაში, მათი ცოცხალი ხასიათების დაპირისპირებაში. პიესის მთავარი გმირი სახელწოდებითაც და მიზანდასახულობითაც უნდა იყოს პარტორგი, გიორგი, რომელსაც ფოლადაური უწოდეს. რატომ მისცეს ეს სახელწოდება, რა ჩაიდინა მან ასეთი, პიესიდან არა სჩანს. ეს ყველაზე უფრო სქემატიური, განყენებული სახეა. იგი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეედრება გოჩილოს, ვერც ხარიტონს ხასიათის კვეთილობით, ცხოველმყოფელობით. გიორგი-ფოლადაური მოარული, ხორცშეუსხმი იდეაა, ამიტომ უსიცოცხლო. ამ სახის სიღარიბე კი ბღარიბებს პიესას იმ მხრივ, რომ აღარა რჩება ადგილი ხასიათთა შებრძოლებისა და დრამატიული ნასკვის გახსნისათვის. ეს არის პიესის მთავარი ნაკლი.

მიუხედავად ჩამოთვლილი დეფექტებისა, სპექტაკლი დამსწრე საზოგადოებამ თბილად მიიღო. ეს იმიტომ, რომ პიესას თავისი მკაფიო ღირსებებიც აქვს.



მეორე აქტი. ტრაქტორისტი ქალი (თ. ბაქრაძე) და წითელარმიელი (გიგაური)

პიესა სწორად გადმოგვცემს ჩვენი საკოლმეურნეო ცხოვრების განვითარების ტენდენციას. ჩვენი დრამატურგია მეტად ღარიბაა ისეთი პიესებით, რომლებშიაც საკოლმეურნეო წყობილებაა ასახული. „ფოლადაური" ამ ხარვეზების ამოვსებას ხელს უწყობს, ამ მიმართულებით შემდგომი მუშაობისათვის იმპულსს იძლევა.

პიესაში ს. შანშიაშვილის მჭრელი და დაკვირვებული თვალით გაცოცხლებულია მრავალი რეალური სახე, ამოღებული ჩვენი კოლმეურნეობის ცხოვრებიდან. ასეთებია შესანიშნავი და მხატვრული სრულყოფით გამოკვეთილი სახეები გოჩილოსი, თომასი, თანდილასი, ზაქარიასი (წითელარმიელი), თებრონესი, ფრიდონისა, ხარიტონისა, საბედოსი და სხვათა.

მიუხედავად მავნებლური ხელის მუშაობისა, კოლმეურნეობა მტკიცდება და მიდის წინ. ცოცხალი სცენებით არის გადმოცემული კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრება, სოფლის ახალი ყოფა. ავტორის ოსტატობა ხშირად ფეიერვერკად ნათდება და აჩენს საკოლმეურნეო ცხოვრების შესანიშნავ სურათებს, რომლებშიაც მკვეთრად არის გამოხატული ახალ ადამიანთა სულისკვეთება, სრულად ახალ საფუძველზე დაყენებული ურთიერთობა, ახალი ზნეობრივი და მორალური ძალა. პიესაში ხაზგასმით არის მოცემული ახალგაზრდობის როლი საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებაში, მისი მჩქეფარე მისწრაფება, მხნეყოფნა ახალი ცხოვრების გამარჯვებისათვის ბრძოლაში ჩასაბმელად.

კარგად არის პიესაში მოცემული ხალხთა სტალინური ძმობისა და სიყვარულის გამომხატველი სცენები უკრაინისა და საქართველოს კოლმეურნეობების მიერ შეჯიბრებაში გაწვევის სახით.

უხვად ლირიზმით ცოცხალი სცენები, რომლებიც გამოხატავენ ქალ-ვაჟის სიყვარულს, დამყარებულს სრულიად ახალ ურთიერთობაზე, ახალ შინაარსზე.

რაც მთავარია, პიესაში იგრძნობა დიდი სიყვარული კოლმეურნეობისადმი, ახალი წყობილებისადმი, იგრძნობა ნათელი, დიდი, მჭერმეტყველი ოპტიმიზმი.

ამაშია სპექტაკლის გამარჯვების მიზეზი და აგრეთვე იმაში, რომ იგი წარმოადგენს ჩვენი ახალგაზრდა ძალების მშვენიერ გამოფენას.

ჩვენ ვთქვით, რომ სპექტაკლის ცენტრალური ფიგურა არის გოჩილო. უნდა ითქვას, რომ ასეთად მას ჰქმნის ახალგაზრდა მსახიობის **ზ. მაჩაბლის** კარგი თამაში. მსახიობს საუცხოვოდ აქვს შესწავლილი თავისი ტიპი, სავსებით დამორჩილებული ჰყავს იგი და შესანიშნავ სახესაც ჰქმნის მშვენიერ ბრიგადირისას, ადამიანისას, როდესაც იგი თავის ადგილზეა, მაგრამ სასაცილოს და ბრიყვს მაშინ, როცა იგი თავისთვის შეუფერებელ თანამდებობაზე მოხვდება. მსახიობს ზედმიწევნით აქვს დამუშავებული თავისი როლი, კარგად მოფიქრებული და გაზომილი აქვს მისი ყოველი სიტყვა, და ამით იგი აღწევს იმას, რომ იგი სპექტაკლის ძარღვად, წამყვანად იქცევა და დამსახურებულ ტაშს იმსახურებს.

ასეთსავე მტკიცე, თავისებურ სახეს ჰქმნის მეორე ახალგაზრდა მსახიობი **გ. ასიტაშვილი** შედარებით ეპიზოდურ თომას როლიდან. მსახიობი ამ პირს ცხოვრებიდან იღებს და უბრალოდ, მოხერხებულად ასრულებს მას. უყურებთ და ფიქრობთ, ეს ტიპი ხომ ნაცნობია, ხომ ხშირად გვხვდება ცხოვრებაში. ასეთი საიმედო ახალგაზრდა ძალების გამოყვანა, მათი ხალისიანი შემოქმედებითი მუშაობის გამოფენა თეატრის ხელძღვანელობის გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს.

სულ რამდენიმე რეპლიკა აქვს საბედოს, მაგრამ მათი საშუალებით **ან. ვარდოშვილი** დასამახსოვრებელ სახეს ჰქმნის. ისიც სპექტაკლის ცოცხალი, ხორცშესხმული სახეა.

ასეთივე სიძლიერით, უშუალობითა და ძალდაუტანებლად, უბრალოდ თამაშობენ და კიდევაც შესაფერ მხატვრულ შედეგებს აღწევენ თავიანთ როლებში **წ. გიგაური** (ზაქარია), **ალ. სიხარულიძე** (ანიკო), **გ. ბეჟუაშვილი** (ანდრო), **დ. ჭიაბრიშვილი** (იასე), **ივ. ჯავახიშვილი** (გოგია) და სხვანი. ესენი ჩვენი თეატრის სულ ახალგაზრდა ძალებია. უნდა ითქვას, რომ შემოქმედებითს შეჯიბრებაში უფრო ძველ თაობასთან ისინი პირველ ადგილზე დგანან. ცოცხლად, მოქნილად გამოიყურება აგრეთვე თებრონე **მ. ჯაჯანაშვილის** შესრულებით, თუმცა უნდა მივუთითოთ სიარულის ერთგვარ რიტმიზაციაზე, რაც ხელოვნურობის შთაბეჭდილებას სტოვებს.

უფრო სქემატიურნი არიან, ასე ვთქვათ, „ძველი" თაობის წარმომადგენელნი. რა თქმა უნდა, ამაში ბრალი მიუძღვის მასალას, რომელიც მათ ხელთ არის. სიტყვიერი მასალა საშუალებას არ აძლევს მათ—ფრთები გაშალონ, ხორცი შეასხან როლს.

მათ შორის ვამოირჩევა **თ. ბაქრაძე** თავისი უშუალობითა და გულწრფელობით (მარინე), **ალ. აფხაიძე**, რომელიც ერთ-ერთ უძნელეს როლს ასრულებს (საშუალო გლეხი ფრიდონი, რომელიც მავნებლის ქსელში გაებმება), **ბ. ხუციშვილი** (ნებისარი), **ან. სანაძე** (ნანული), **შ. აბესაძე** (თანდილა). ეს როლი აუცილებლად უნდა გაძლიერდეს, რადგან პიესის ნასკვს იგი ხსნის. იმ მასალით, რომელიც **სტ. ჯაფარიძის** ხელთაა, მეტის გაკეთება შეუძლებელია. როგორც აღვნიშნეთ, პიესის, მთავარი ნაკლი მთავარი გმირის, წამყვანი გმირის გაღარიბებაშია. სქემატიზმს ისეთი გამოცდილი და ნიჭიერი მსახიობიც კი ვერა სძლევს, როგორიც არის სტ. ჯაფარიძე. კარგია **ლ. ყაზაიშვილი** ხარიტონის როლში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს დამდგმელის **შ. წერეთლის** პირველი გამოსვლის გამარჯვება.



გოჩილა—ზ. მაჩაბელი

სპექტაკლის მთლიანი მონტაჟი შესაფერი გემოვნებით არის გაკეთებული. იგი გაცოცხლებულია ცალკეული ხალისიანი სცენებით (განსაკუთრებით მეორე მოქმედება).

**თ. აბაკელიას** დახვეწილი გემოვნებით შესრულებული გაფორმება და ნიჭიერი კომპოზიტორის **რ. გაბიჩვაძის** გამჭვირვალე, ხალისიანი, ხალხურ მოტივებზე აგებული მუსიკა სპექტაკლის წარმატებას საგრძნობლად უწყობს ხელს.

შალვა აფხაიძე

# ივანე ტურგენევი

### (დაბადებიდან 120 წლის შესრულების გამო)

ივანე სერგეის-ძე ტურგენევი არის გასული საუკუნის რუსული ლიტერატურის ერთი უნიჭიერესი წარმომადგენელი, გოგოლის კრიტიკული რეალიზმის გამგრძობი და მხატვრული სიტყვის ბრწყინვალე ოსტატი. იგი დაიბადა 1818 წელს ფეოდალურ ოჯახში. ბავშვობის დიდი ნაწილი გაატარა სოფლად. მომავალი მწერალი ღრმად უკვირდებოდა იქ გლეხთა საშინელ ყოფას და ბატონთა არაადამიანურ დამოკიდებულებას მათდამი. მის თვალწინ ყოველდღიურად იშლებოდა ბატონყმური ურთიერთობის მთელი საშინელება. აქედან დაიწყო ჯერ კიდევ ბავშვში, უარყოფითი დამოკიდებულების შემუშავება ბატონყმობისადმი.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე მეოთხედის დამლევს თავად-აზნაურთა ცოტად თუ ბევრად განათლებულმა, ლიბერალურმა ნაწილმა შეიგნო, რომ შეუძლებელი იყო ბატონყმური ურთიერთობის შენარჩუნება. გლეხთა აჯანყებების ზრდა ნათელს ხდიდა მათთვის, რომ ახლოვდებოდა ბატონყმობის ქვევიდან ძალდატანებითი გადავარდნის მომენტი და საჭირო იყო ზევიდან სწრაფი ზომების მიღება მის გასაუქმებლად. ამასთან ისინი ხედავდნენ, რომ კაპიტალიზმის ზრდა-განვითარების შედეგად თავადაზნაურული კლასის შემდგომი არსებობა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად შესძლებდა იგი ახალ ვითარებასთან შეგუებას. უფრო პროგრესიულ ნაწილში იზრდებოდა დასავლური ცხოვრებისადმი მიდრეკილება. დაიწყო ბრძოლა ბატონყმური უფლების, ჯოხის რეჟიმის შეცვლისათვის. ტურგენევი გადაჭრით მიემხრო ამ იდეურ მიმართულებას და ბატონყმობის უარყოფითი მხარეების წინააღმდეგ გალაშქრებით დაიწყო თავისი სამწერლო მოღვაწეობა.

ტურგენევმა წერა დაიწყო სტუდენტობისას. სწერდა უმთავრესად ლექსებს, მაგრამ ამ ნაწარმოებებმა ავტორს ვერ მოუპოვეს მწერლის ფართო და პოპულარული სახელი. ტურგენევის ლექსები ახალს ვერაფერს ეუბნებოდნენ მკითხველს ვერც თავისი ფორმით, ვერც შინაარსით. დამოუკიდებელ ლიტერატურულ გზაზე ტურგენევი „მონადირის წერილებით" გამოვიდა. ამ ნარკვევებითა და მოთხრობებით მიიპყრო ავტორმა ლიტერატურული და მკითხველი საზოგადოებრიობის ყურადღება, მოიპოვა პოპულარობა. ამავე დროს ტურგენევმა გაიჩინა შეურიგებელი მტრები მეფისა და რეაქციური თავადაზნაურობის სახით.

„მონადირის წერილები" გაჟღენთილია ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართული პროტესტით. მეფის მთავრობამ და თავადაზნაურობამ მათში დაინახეს აშკარა თავდასხმა, ბატონყმური სინამდვილის დაუნდობელი მხილება. ამიტომ მეფის მთავრობა არ მოერიდა არავითარ საშუალებას — ჩაეხშო ახალგაზრდა მწერალში თავისუფალი აზროვნების სურვილი, ჩაექრო პირველ ნაწარმოებშივე გამომჟღავნებული მხატვრული პოტენციის ცეცხლი. მეფემ მოხსნა ცენზორი, რომელმაც „მონადირის წერილების" დაბეჭდვის ნება დართო, მაგრამ, რადგან ნაწარმოე-



ბის აკრძალვით ვერას გახდებოდა, შური ავტორზე იძია, დააპატიმრა და გადაასახლა იგი სოფელში პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. მთავრობამ ტურგენევის ამ გადასახლებას ფორმალურ მიზეზად დაუდო გოგოლის გარდაცვალების გამო დაწერილი პატარა წერილი, სადაც გოგოლი სამართლიანად იყო აღიარებული უნიჭიერეს და უპოპულიარეს რუს მწერლად. ამის შესახებ ტურგენევი სწერდა თავის მეგობარს, რომ წერილი გოგოლზე მხოლოდ მიზეზი იყო: „დიდი ხანია მე ალმაცერად მიყურებენ და ამიტომ ჩაეჭიდნენ პირველ შემთხვევას".

„მონადირის წერილებით" ავტორს უნდოდა ეჩვენებინა მკითხველისთვის ყმების ყოფა-ცხოვრება ბატონყმურ ეპოქაში. ტურგენევი, გვიხატავს რა უმთავრესად ყმების მძიმე ცხოვრებას, ფსიქოლოგიურ განცდებს, ამით ხაზს უსვამს მემამულეთა სისასტიკეს, უსულგულობას და ფეოდალიზმის უარყოფით მხარეებს. მაგრამ აქედან არ შეიძლება ისეთი დასკვნის გამოტანა თითქოს ტურგენევი სრულიად დაშორდა თავისი კლასის იდეოლოგიას და გახდა გლეხთა იდეოლოგი, გლეხური დემოკრატი, რევოლუციონერი. რასაკვირველია, არა. ტურგენევი მთელ თავის სიცოცხლეში არ გასცდენია ლიბერალურ-თავადაზნაურულ მსოფლმხედველობას, იგი არ ყოფილა გლეხური რევოლუციური იდეოლოგიის წარმომადგენელი, მას ეშინოდა გლეხთა აჯანყებების, რევოლუციის. მწერალი შეურიგებელი მტერი იყო რევოლუციისა, კერძოდ რუსეთში. იგი ფიქრობდა, რომ ბატონყმური უფლება უნდა გაუქმდეს და თანდათან გარდაიქმნას ცხოვრება უფრო კულტურულ და ეკონომიურ ცხოვრებად, უფრო სასარგებლო საფუძველზე. ასეთ საფუძვლად მწერალი სთვლიდა ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ სისტემას, რომელსაც უნდა შეჰგუებოდა თავადაზნაურობა, რათა არ დაეკარგა თავისი ეკონომიური და პოლიტიკური პრივილეგიები.

გლეხთა ტიპების დახატვისას მწერალში იღვიძებდა უმთავრესად ჰუმანიური გრძნობები და არა სოციალური — გაუთავისუფლებელ გლეხებში [illegible] სობრივი [illegible] -რიქით, ტურგენევი კლასობრივი ბრძოლის შენელების თვალსაზრისზე იდგა.

ტურგენევის ლიბერალური შეხედულებები და შიში გლეხური რევოლუციის წინაშე განსაკუთრებით აშკარა გახდა 60-იანი წლების რევოლუციურ-პროგრესული საზოგადოებრივი აზროვნების ფონზე. ტურგენევი, შერჩა რა თავის ადრინდელ მსოფლმხედველობას, სასტიკი წინააღმდეგი იყო ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის რევოლუციური ხაზისა. დობროლიუბოვის სიტყვით, ტურგენევი იყო წარმომადგენელი და მომღერალი იმ მორალის და ფილოსოფიისა, რომელიც გაბატონებული იყო 40-50-იან წლებში. როცა რევოლუციურმა რაზნოჩინელებმა დაიწყეს გაბედული ბრძოლა მეფის, თავადაზნაურობისა და ლიბერალების წინააღმდეგ, ტურგენევმა დასწერა „მამები და შვილები". ამ რომანში ბაზაროვის სახით მწერალმა რაზნოჩინელი, ახალი რევოლუციური თაობის წარმომადგენელი დაგვიხატა მეტად უარყოფით ხაზებში, შიშველ ნიჰილისტად. რომანმა თავის დროზე დიდი კამათი გამოიწვია, მის წინააღმდეგ გამოვიდა თითქმის მთელი მოწინავე რევოლუციური ინტელიგენცია.

მიუხედავად ამისა, ტურგენევის მხატვრულმა შემოქმედებამ ობიექტურად თვალსაჩინო დადებითი როლი ითამაშა ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში. ის შემდეგშიაც დიდხანს ეხმარებოდა ახალგაზრდობას გლეხობის მძიმე წარსულის შესწავლაში. ტურგენევი წარმომადგენელი იყო იმ მხატვრული სკოლისა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს პუშკინმა და გოგოლმა. პუშკინს ტურგენევი სთვლიდა თავის „ძველ, მაგრამ არა მოძველებულ მასწავლებლად". განავითარა რა გოგოლის კრიტიკული რეალიზმის ხაზი, ტურგენევმა მეცხრამეტე საუკუნის რუსული ლიტერატურა გაამდიდრა შესანიშნავი მხატვრული რეალისტური ნაწარმოებებით, — მოთხრობებით, რომანებით, ნარკვევებით, მხატვრულ სახეებს ტურგენევი იღებდა სინამდვილიდან, ცოცხალი ადამიანებიდან ჰქმნიდა იგი ზოგად ტიპიურ ხასიათებს. განსაკუთრებით დიდი იყო ტურგენევის გავლენა რუსულ ლიტერატურაზე თავისი ელვარებითა და შესანიშნავი რუსული ენით.

ტურგენევის შემოქმედება, ისევე, როგორც ყოველი დიდი მხატვრის შემოქმედება, შედის სოციალისტური ხელოვნების საუნჯეში. ჩვენი ქვეყნის თავისუფალი ხალხი ითვისებს და სწავლობს მას კრიტიკულად, ამდიდრებს თავის კულტურას.

ერ. ასტვაცატუროვი.

# დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა

### (დასასრული)

„ახლა ხომ გჯერა ერისთავთ-ერისთავო, ქრისტეს სჯული დიაცებისა და ბალღების თვალის ასახვევად რომ გამოუგონიათ ხუცებს?".

ორივე ხელის გული შუბლზე იტკეცა მამამზემ: ავაიო წამოიძახა და წელში მოდრეკილი ჩამოჯდა სელზე.

ტოხაისძე დარბაზიდან გავიდა და როცა მწევრის ლეში გაიტანეს, იგი კვლავ მობრუნდა.

თავი აიღო მამამზემ:

„შენ მართალი ხარ შავლეგ, ცამდი მართალი, დიაცებისა და ბალღების მეტს არავისა სწამს ჯვარი".

„შესაძლოა, მაც გამოყრუებულ კათალიკოსს და ორიოდე ბერს მცხეთაში..."

„შესაძლოა"...

მცირე ხანს ორივენი სდუმდნენ, ბოლოს მამამზემ დაარღვია დუმილი:

„არც გიორგი მეფეს სწამს ქრისტე და მისი ჯვარი. ბასიანთან ომის დროს კეისარმა ითხოვა მშვიდობა. ზავის წერილი მიუგზავნა გიორგიმ, შემდგომ ამისა განავლინა მეფემ ზვიადი, დალაშქრა ზვიადმა კიდევ ბასიანისა და აოტნა ბერძენთა სპანი.

ბასილი არ მოელოდა ქართველთაგან მუხანათობას. ბრძანა კეისარმა ჰოროლის წვერზე დაკიდება ზავის წერილისა.

აღმართა ჰოროლი და სთქვა:

„იხილე უფალო წერილი ესე და საქმენი რომელსა იქმან".

შემდგომ ამისა გადმოიღო კეისარმა ძელი ცხოველი, დააჭდო მიწაზე და შეჰღაღადა: „უკეთუ მიმცე ხელთა მტრისასა, აღარა თაყვანიგცე უკუნისამდე".

მერმე ის იყო ჩვენ დავმარცხდით, უკუვიქეცით და ოლთისი გადავწვით გზაში. ქალაქიდანაც არ ვიყავით გასული, მოახსენეს მეფეს, უფლის სახლი იწვისო, გიორგიმ გადახედა ცეცხლშემოგზნებულ ეკლესიას, ზვიადს უბრძანა ჩააქრობინეო, მერმე ცხენს დეზი ჰკრა. მე გვერდით მივსდევდი ცხენდაცხენ; გადმოიხარა ჩემკენ და მეუბნება:

„ჰოი, რა უწყი თუ რა არის კონცხსა მას, ან რასა ვცემთ თაყვანს"?.

ესა სთქვა და ცეცხლში გახვეულ საყდარს მიჰხედა უკანასკნელად".

ადგა მამამზე, ჭიაბერისეული მუზარადი და ხმალი გადმოიღო, ტაბლაზე დაადგა და ეუბნება ტოხაისძეს:

„შემომფიცე შავლეგ, ჭიაბერის სისხლი ავიღოთ. შენ ჭიაბერის ძუძუმტე ხარ და ფიცვერცხლი გაქვს მასთან ნაჭამი".

„მე იმ დღეს შევფიცე მის საფლავს როცა პაპისეული ლოდი დავდევი ზედ.

არ გვინდა ქრისტეს ჯვარი, არ გვინდა მეფე გიორგი, არც ზვიად სპასალარი, არც მელქისედეკ კათალიკოსი. მცხეთა და უფლის ციხე ისეთივე ბუდეა გულარძნილობისა როგორიც ბიზანტიონი.

ბერძნებს ეს უნდათ, ჩვენი ბომონები ვგმოთ და მათ ეკლესიებში ვილოცოთ, წინაპართა ჩვენი სალოცავები შეგვიმუსრეს, თავიანთი ხატები და ჯვრები შემოგვაჩეჩეს ხელში.

ბერძნებს ეს სწადიათ ჩვენი ენა დაგვავიწყონ და თავიანთი შემოგვჩარონ პირში, ჩვენი წარსული დავივიწყოთ და მათი შევისწავლოთ, ჩვენი სამოსი შემოგვაძარცონ, მათი ჩავიცვათ, თუ ჩვენი კერპები ვახსენეთ და მათი დავგმეთ, მყისვე პირზე აკერიათ: „მკრეხელი, მწვალებელი და მსტოვარი".

ამიტომაც გვინდოდა მე და კოლონკელიძეს მეფე გიორგი შეგვეპყრო, ჭიაბერი ტახტზე დაგვესვა. მცხეთას ავიღებდით, უფლისციხეს შემოვეწყობოდით, თმოგვის ციხეს ავიღებდით და ციხეს ფანასკერტისას, დედოფალს ბედიის მონასტერში დავამწყვდევდით, ამირას ტფილისიდან გავაგდებდით, არმაზსა და ზედაზენს აღვადგენდით, მელქისედეკ კათალიკოსს და მის შავჩოხიან მსტოვარებს ქართლოსის საფლავზე დავაკლავდით, მაგრამ შენ ტყვედ გვეგულებოდი მცხეთაში, მე იმ თავიდან არ მომწონდა ახალწელს სადარბაზოდ მცხეთაში წასვლა".

„ვაი ჩემს თავს" სთქვა მამამზემ, შუბლზე შემოიკრა ხელის გული. „ნეტავი წამოსულიყავით და ჩემთვის წაეჭრა მეფე გიორგის თავი. იმ ტიალ დათვს არ გადავყროდი, ნადირობის დროს გავექცეოდი უთუოდ".

თავად მეფეც ბიზანტიონის მტერია, მაგრამ დაბნეულია გიორგი. მელქისედეკ კათალიკოსსა და ფარსმან სპარსს შორის ირყევა მუდამ. ზოგს ასე ჰგონია: კოლონკელიძის მიერ შემუსრული ხატების ბედი აწუხებდა გიორგის. ჭიაბერი რომ შორენას ირთავდა, ეს ახელებდა მეფეს.

შარშან წინ, მცხეთობას ნახა შორენა პირველად. სავსებით გადაავიწყდა რომ იგი მეფე იყო და თავდაჭერა მართებდა. კათალიკოსი და დედოფალი ტაძრეულს შეატოვა ხელში, ყმაწვილივით აგვექიდა მე და ჭიაბერს.

როცა წამოსვლა დავაპირეთ, შორენას მიეჭრა, ცხენზე ასვლაში უშველა თავათ, შემდგომ ამისა, უნაგირზე გადამჯდარ ქალს მისწვდა, ცხენი იფარა, საწმერთულის[1]) ტოტი აუწია და აკოცა წვივზე. ჭიაბერს ეს არ დაუნახავს, რადგან იმ წუთში ჯდებოდა ცხენზე.

ჭიაბერის ტირილში მე თვალს არ ვაშორებდი მეფეს, იგი შეფარვით უჭვრეტდა მგლოვიარე ქალს, ორმოცზედაც იმიტომ მოვიდა, შორენა ენახა ხელახლა.

წამოდგა მამამზე ერისთავი, ჭიაბერისეული ხმალი აიღო ხელში, ნოხით დაფარულ ტაბლაზე დაარჭო წვეტით და ტოხაისძეს უთხრა:

„შემომფიცე შავლეგ, მხოლოდ იმისთვის ვიცოცხლოთ, ჭიაბერის სისხლი ვაზღვევინოთ მეფე გიორგის".

„ვფიცავ წინაპრების ჩვენის სალოცავს, გველსავით წავაცალო გიორგი მეფეს თავი".

ესა სთქვა შავლეგ ტოხაისძემ, დაიჩოქა და ზეასწია თავისი გაჯაგრული, შავი მარჯვენა.

ენიშნა სიზმარი მამამზეს.

მეორეს დღეს, კოლონკელიძესთან გაგზავნა შავლეგ ტოხაისძე მამამზემ, რათა ყოველივე წვრილად მოეხსენებინა ტოხაისძეს მისთვის. დასთქვეს: ჯერ ეკლესიებისა და ხატების შემუსვრას დაიწყებდა კოლონკელიძე, მერმე არაგვის ხეობაში გადმოვიდოდა, საერთო ძალით შემოეწყობოდნენ უფლისციხეს და მცხეთას.

ბორდოხან იმ დღესვე ბზნელიდან ამოიყვანა მამამზემ, ძაძა გაიძრო და ცოლს ამცნო: შავლეგ ტოხაისძეს უნდა მივათხოვოთო კატაი.

შეკრთა ბორდოხან, მეფის მიერ მელქისედეკის პირით დანაბარები გაახსენდა მყისვე შეშინებულმა ამის თქმა შეჰბედა ქმარს:

„მეფე რას იტყვის?..."

„მეფეს მე გავცემ პასუხს".

[1]) საწმერთული—შეიდიში. აბრეშუმის ქვედასაცვალი ქალისა.

## ახალი წიგნები

### „სამასი არაგველი"

პოეტი სიმონ ჩიქოვანი მუშაობს ახალ პოემაზე—„სამას არაგველზე". პოემა შეეხება ხალხის სიყვარულს სამშობლოსადმი და თავგანწირულ ბრძოლას სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცებისათვის. პოემას პოეტი დაამთავრებს მომავალი წლის თებერვლისათვის.

### „სიმღერები"

შიო მღვიმელი ფართო მასებისათვის ცნობილია, როგორც საბავშვო მწერალი, მაგრამ შიო მღვიმელს თავისი სამწერლო მოღვაწეობის პირველ პერიოდში არა ერთი ლექსი დაუწერია მოზრდილთათვისაც. ეს ლექსები გაბნეული იყო ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. პოეტმა ი. გრიშაშვილმა შეკრიბა აღნიშნული ლექსები და მისივე კომენტარიებითა და წინასიტყვაობით გამოსცა „ფედერაციამ".

წიგნში მოთავსებულია მღვიმელის 34 ლექსი, შეიცავს 76 გვერდს და ღირს 3 მან. 70 კაპ.

### „მნათობი" № 10

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ჟურნალ „მნათობის" № 10. ჟურნალში მოთავსებულია ალიო მაშაშვილის წერილი ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაზე. პოეზიის განყოფილებაში მოთავსებულია ი. გრიშაშვილის „კიროვის ბაღში", კ. ჭიჭინაძის „ნ. ბარათაშვილი განჯაში", ა. ქუთათელის „ბარათაშვილი და მისი სატრფო", ა. შენგელიასი „ახალგაზრდული", ვ. ნონეშვილის „შემოდგომის ღამე კახეთში".

პროზის განყოფილებაში დაბეჭდილია კ. გამსახურდიას ახალი რომანის „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა"-ს გაგრძელება. ალ. ჰეიშვილის რომანის „ლელოს" პირველი წიგნის დასასრული და ა. ხახუტაშვილის რომანის „იოსებ ლალიაშვილის" გაგრძელება. თარგმანის განყოფილებაში მოთავსებულია ილო მოსაშვილის მიერ თარგმნილი უკრაინელ პოეტების ბაჟანისა და რილსკის ლექსები.

გარდა ამისა ჟურნალში დაბეჭდილია პავლე ინგოროყვას წერილის „ნ. ბარათაშვილი" (ბიოგრაფიული ნარკვევი) გაგრძელება, პ. გუგუშვილის „ტყვეებით ვაჭრობა საქართველოში" და კ. ჭიჭინაძის „უზბეკური ვერსიები".

### რომანი „ჩაი"

აჭარის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა პარმენ ლორიას რომანის „ჩაი"ს მეორე წიგნი. წიგნი შეიცავს 304 გვერდს და ღირს 9 მანეთად.

### „პლეხანოვის ესთეტიკის საკითხები"

რუსეთის სახ. ლიტ. გამომცემლობამ გამოსცა მ. როზენტალის წიგნი „პლეხანოვის ესთეტიკის საკითხები". წიგნი მიზნად ისახავს გააშუქოს პლეხანოვის ლიტერატურული თეორიის ძირითადი პრობლემები. პლეხანოვის ესთეტიკის ზოგიერთი პრობლემა ავტორის მიერ ახლებურად არის დასმული და გადაწყვეტილი. ასეთია პრობლემები ხელოვნების მატერიალისტური გაგების შესახებ, პრობლემა ესთეტიკის აბსოლუტურ და შეფარდებით კრიტერიებზე და სხვ.

### „მესხეთ - ჯავახეთი"

ს. მაკალათიას მეტად საყურადღებო წიგნი „მესხეთ-ჯავახეთი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი) გამოსცა გამომცემლობა „ფედერაციამ". წიგნში განხილულია მესხეთ-ჯავახეთი ისტორიული და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, ფოლკლორი და სხვ.

წიგნი მდიდრულადაა დასურათებული, დართული აქვს მესხეთ-ჯავახეთის პოლიტიკური რუკა, გამოცემულია 4000 ცალად, შეიცავს 157 გვერდს და ღირს 5 მან. 60 კაპ.

### „კლასიკური საბერძნეთის ესთეტიკა"

რუსეთის სახ. ლიტგამომცემლობა ამ დღეებში გამოსცემს პროფ. ასმუსის წიგნს „კლასიკური საბერძნეთის ესთეტიკა".

წიგნი მიზნად ისახავს გააცნოს მკითხველს ანტიური ქვეყნების ესთეტიური აზროვნების ისტორიის ძირითადი საფუძვლები საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებით.

პირველ თავში ავტორი აშუქებს სოკრატამდე არსებულ პერიოდის ესთეტიკურ შეხედულებებს (პითაგორელები, ჰერაკლიტე, ემპედოკლე, დემოკრიტე).

დანარჩენ ექვს თავში წარმოდგენილია ანტიური ქვეყნების უდიდეს მოაზროვნეთა—სოკრატეს, პლატონისა და არისტოტელეს ესთეტიკა.

### „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა"

ასეთი სათაურით სახელგამმა გამოსცა წიგნი, რომელშიაც მოთავსებულია დოკუმენტები ილიას მკვლელობის შესახებ. მასალები შეგროვილი და გამოკვლეულია პაატა გუგუშვილის მიერ. წიგნს წამძღვარებული აქვს მისივე ვრცელი შესავალი წერილი.

წიგნი შეიცავს 112 გვერდს და ღირს 6 მანეთი.

# რაფიელ ერისთავის ნეშტის გადმოსვენება თელავში

### (ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ოცდაჩვიდმეტი წლის წინათ, როცა გარდაიცვალა მხცოვანი სახალხო პოეტი რაფიელ ერისთავი, ქართველი ხალხის მოწინავე მოღვაწეებმა,—ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და სხვებმა, განიზრახეს თელავიდან მისი გადმოსვენება და თბილისში დაკრძალვა. მაგრამ მეფის ხელისუფლება, იმ შიშით, რომ მგოსნის დაკრძალვა დედაქალაქში დემონსტრაციად არ გადაქცეულიყო წინაღუდგა ამ განზრახვას, დააკმაყოფილა რა ჭირისუფლების თხოვნა, დაკრძალულიყო რაფიელი თავის საგვარეულო სასაფლაოზე, იმ დროს მივარდნილ სოფელ ქისტაურში.

მაგრამ მაინც ასრულდა ის, რისიც მეფის მთავრობას ასე ეშინოდა. კახეთის მშრომელმა გლეხობამ საყოველთაო სადემონსტრაციო ტრაურით დაასაფლავა თავისი მგოსანი. მომსწრენი გადმოგვცემენ, რომ სოფლები სოფლებს გადასცემდნენ ხელიდან ხელში მგოსნის კუბოს და ასე მიასვენებდნენ ქისტაურამდეო. არ გამართლდა მეფის სატრაპთა არც ის მოლოდინი, რომ რაფიელის საფლავი, სოფლის ტყეში მიმალული, სამუდამოდ დაიკარგებოდა ქართველი ხალხისათვის.

მგოსნის თელავში გადასვენების ინიციატივას, რომელიც ეკუთვნის თელავის კომკავშირის რაიკომსა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, გულწრფელი სიხარულით შეხვდა ხალხი.

„ერთი წუთითაც რომ შეგეძლოს თვალის გახელა,—მიმართა პოეტის ნეშტს კოლმეურნე ჩანგიშვილმა: დაინახავდი, რომ შენი ბერუა, შენი სესია, შენი თანდილა, შენი გლეხობა ისეთი აღარ არის, როგორიც შენ დასტოვე. ორმოცდათი წლის წინათ მხოლოდ შენ შესძელი გესახელებინა ქისტაური, მდგომარეობა მხოლოდ შენ ერთს გაძლევდა ასეთ საშუალებას, დღეს კი მარტო ქისტაურს ჰყავს ოცამდე სასახელო შვილი, რომლებსაც იცნობს მთელი საქართველო, მთელი ამიერ-კავკასია, მთელი ჩვენი დიდი სამშობლო—საბჭოთა კავშირი"

კოლმეურნე ჩანგიშვილი გულისხმობდა იქვე მყოფ ქისტაურელ კოლმეურნე ქალებს, რომლებსაც დაუმყარებიათ მსოფლიო რეკორდი აბრეშუმის ჭიის გამოკვებისა და პარკის მოსავლის გადიდების საქმეში.

ქისტაურში სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე მწერალთა კავშირის წარმომადგენელმა ამხ. პლ. კეშელავამ და თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გამგემ ამხ. ალ. მამულაიშვილმა.

ზემოხოდაშენში, ოჟიოში, იყალთოში და ვარდისუბანში პროცესიას დროშებით და გვირგვინებით—დახვდა ახლომახლო სოფლების მოსახლეობა, რომელიც ცოცხალი ყვავილებით ამკობდა მგოსნის კუბოს. მოწაფეებს ხელში ეჭირათ პლაკატები ზედწარწერილი რაფიელის ლექსებით. კოლმეურნეობების, მოსწავლეებისა და მასწავლებლობის სახელით სიტყვები წარმოსთქვეს ჯეჯელაშვილმა, წიკლაურმა, არსენაშვილმა, ბობოხიძემ და სხვებმა.

თელავის განაპირა უბანთან პროცესიას დახვდა თელავის თითქმის მთელი მოსახლეობა. იმ ხალხთან ერთად, რომელიც ქისტაურიდან თელავამდე პროცესიას გამოჰყვა, დემონსტრანტების საერთო რიცხვმა 15 ათას კაცამდე მიაღწია, რაც იშვიათად ახსოვს თელავს. აქაც თელაველი მოქალაქენი ცხედარს შეხვდნენ დროშებით, პლაკატებით, ლოზუნგებით, აქაც კუბო დაფარეს ყვავილებით. ნეშტი მანქანიდან გადმოასვენეს და მთელი ამ ზღვა ხალხის თანხლებით მიასვენეს ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, სადაც პარტიის რაიკომის კულტპროპის ფეიქრიშვილის თავმჯდომარეობით დაიწყო მიტინგი, ხალხი ყურადღებით ისმენდა მწერალთა კავშირის წარმომადგენლის ამხ. პლ. კეშელავას, თელავის ინტელიგენციის წარმომადგენლის ამხ. ალ. გვენცაძის სიტყვებს. აღფრთოვანებით შეხვდა დემონსტრაცია კოლმეურნე სინიკაშვილის ლექსს, რომელიც გამოხატავდა კოლმეურნე გლეხობის სიხარულსა და აღტაცებას ახალი ბედნიერი ცხოვრებით. რაფიელისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა აგრეთვე მასწავლებელმა ქალმა ნ. ერისთავმა.

სრულ საღამოს 7 საათზე მგოსნის ნეშტი მიასვენეს და დაკრძალეს მხარეთ-მცოდნეობის მუზეუმის (ერეკლეს ყოფილი სასახლის) ეზოგალავანში, სადაც ეწყობა საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი.

პასუხისმგებელი რედაქტორი შალვა რადიანი

რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქუჩა № 13 (მწერალთა სახლი) ტელეფონი 8—47—10.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ა—806